პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 62 (20108) სამშაბათი, 15 მარტი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვი ბელგრადში ჩავიდა

აეროპორტში დახვედრისას. საქდს-საქინფორმის ტელეფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი 14 მარტს მოსკოვიდან ბელგრადს ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ა. ა. გრომიკომ, ვ. ი. ვოროტნიკოვმა, ლ. ნ. ზაიკოვმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, ვ. პ. ნიკონოვმა, ნ. ი. რიჟკოვმა, ნ. ნ. სლიუნკოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, ე. ა. შევარდნაძემ, ვ. მ. ჩებრიკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა პ. ნ. დემიჩევმა, ვ. ი. დოლგიხმა, დ. ტ. იაზოვმა, გ. პ. რაზუმოვსკიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ო. დ. ბაკლანოვმა, ა. პ. ბირიუკოვამ, ა. ფ. დობრინინმა, ა. ი. ლუკიანოვმა, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ი. ვ. კაპიტონოვმა, სხვა ამხანაგებმა.

გამცილებელთა შორის იყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში დ. ლაზიჩი.

• • •

ბელგრადი. 14 მარტი. (საქ. დეპის სპეც. კორ). სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების გაზიარება, ყოველივე იმ ახლისა და საგულისხმოს განზოგადება, რასაც ორი ქვეყნის ხალხთა შემოქმედება წარმოშობს, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დასამკვიდრებლად ერთობლივი ბრძოლის ამოცანები — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან მ. ს. გორბაჩოვის მომავალი დიალოგის ამ მიზნებმა ქვეყნის მოსახლეობის უფართოესი ფენების ცხოველი, უშუალო ინტერესი გამოიწვია.

და, რა თქმა უნდა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან შეხვედრას მოელიან შრომითი კოლექტივები: აქ კარგად იციან, რომ მ. ს. გორბაჩოვი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საფუძვლიან და გულახდილ საუბრებს მუშებთან, იქნება ეს პრაღა თუ მურმანსკი, ტალინი თუ ბერლინი, სოფია თუ მოსკოვი.

მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი, რომელიც იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიწვევით ხორციელდება, იუგოსლავიის გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემების წამყვანი თემაა. ორი ქვეყნის ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენას ეძღვნება საბჭოთა წიგნის, ფერწერის, გრაფიკის, საკდესის ფოტოების კომპლექსური გამოფენა, სხვა ექსპოზიციები, საბჭოთა ფილმის დღეები, აქ დიდი პოპულარობით სარგებლობს მაღაზიების დახლებზე ახალშემოსული მ. ს. გორბაჩოვის წიგნი „გარდაქმნა და ახლებური აზროვნება ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის". მისი სტატიებისა და სიტყვების კრებული სერბულ-ხორვატულ ენაზე.

ადგილობრივი დროით 13.00 საათია. ბელგრადის აეროპორტში აღმართულია სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. უზადო მწყობრში გარინდულან საპატიო ყარაულის გვარდიელები. საფრენ მინდორზე დგას მსოფლიოს წამყვანი სააგენტოების, ჟურნალ-გაზეთების, ტელე და რადიოკომპანიების ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი კორპუსი.

„ილ-62" საბჭოთა ავიალაინერი შეხვედრის საზეიმო ცერემონიის ადგილს მიუახლოვდა.

თვითმფრინავის კიბესთან მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს გულითადად მიესალმნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. მოისოვი მეუღლითურთ, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კრუნიჩი მეუღლითურთ.

აეროდრომს საარტილერიო სალუტის ზალპების მრავალგზისმა გამოძახილმა გადაუარა.

სამხედრო ორკესტრმა შეასრულა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. საზეიმო შეხვედრის ცერემონია დამთავრდა საპატიო ყარაულის, იუგოსლავიის სახალხო არმიის გვარდიის ბატალიონის გავლით.

• • •

თეთრ სასახლეში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის ხანმოკლე საუბარი ლ. მოისოვთან და ბ. კრუნიჩთან.

• • •

ნაშუადღევს მ. ს. გორბაჩოვმა დაათვალიერა ბელგრადის მახლობლად ავალის მთაზე აღმართული უცნობი გმირის ძეგლი.

გენერალური მდივანი იყო ავალის მთაზე აღმართულ საბჭოთა მხედართმთავრების ძეგლთან, რომლებიც ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ, როცა ბელგრადში მიემგზავრებოდნენ ფაშისტი ოკუპანტებისაგან იუგოსლავიის დედაქალაქის განთავისუფლების 20 წლისთავზე.

საბჭოთა ხელმძღვანელმა დაათვალიერა აგრეთვე იმ საბჭოთა და იუგოსლავი მეომრების მემორიალური სასაფლაო, რომლებმაც თავი გაწირეს ფაშისტ დამპყრობთაგან ბელგრადის განთავისუფლებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა გვირგვინებითა და ყვავილებით შემკო მემორიალური კომპლექსი და ძეგლები, დატოვა ჩანაწერები საპატიო დამთვალიერებელთა წიგნებში.

(საქდისი).

ახალგაზრდობა

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია!

წარსულის უჩვეულო ექსკურსით დაიწყო შემოქმედი ახალგაზრდობის ტრადიციული რესპუბლიკური სემინარი ბაკურიანში. თბილისის მეტეხის ახალგაზრდული თეატრის მთავარმა რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა წარმოადგინა 1964 წელს გამართული პირველი ასეთი სემინარის სტენოგრაფიული ანგარიში. შემონახულია ნ. დუმბაძის, ა. სულაკაურის, ო. ჭილაძის, შ. ყავლაშვილის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ცნობილ მოღვაწეთა გამოსვლები.

ამჟამად სემინარის ბევრი ყოფილი მონაწილე თავად გახდა მისი ხელმძღვანელი. მაგალითად, ს. მრევლიშვილს მიენიჭა უფლება გაუძღვეს თეატრის დღეს. თეატრალები, ისევე, როგორც მხატვრები, მუსიკოსები, ჟურნალისტები, არქიტექტორები, დიზაინერები, კინემატოგრაფისტები იმსჯელებენ თავიანთ პრობლემებზე. პირველი დღე კი დაეთმო ლიტერატორებს. გაიმართა საქმიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასი საზოგადოების ცხოვრებაში ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების როლსა და ადგილზე, მის განახლებასა და გარდაქმნაზე, პრობლემებზე, რომლებსაც აწყდებიან დამწყები ლიტერატორები, შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის სრულყოფის გზებზე.

სემინარის მონაწილეებმა და სტუმრებმა დაათვალიერეს ახალგაზრდა მხატვრების, არქიტექტორებისა და დიზაინერების ნამუშევართა გამოფენა.

სემინარის მონაწილეებს შეხვდა და ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე.

გარდაქმნა და შემოქმედებითი ახალგაზრდობა. — ამ ფრიად აქტუალურმა და სერიოზულმა თემამ წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა სემინარზე. და ეს ბუნებრივიცაა. გარდაქმნამ, ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესმა, საჯაროობამ ახალგაზრდობის შრომითსა და სოციალურ აქტიურობას მძლავრი იმპულსი მიანიჭა. ცხადი გახდა, რომ არავის არა აქვს უფლება განზე გაუდგეს გარდაქმნას — ყოველმა ჩვენგანმა, მუშა იქნება, კოლმეურნე თუ შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელი, თავისი პოზიცია უნდა დაიკავოს.

სწორედ ამ საკითხზე სთხოვა „კომუნისტის" კორესპონდენტმა სემინარის რამდენიმე მონაწილეს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება.

ზაურ აჯბა (სოხუმი), საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, მხატვარი: თუმცა ახალგაზრდა შემოქმედთა რესპუბლიკური სემინარის მუშაობაში პირველად ვმონაწილეობ, მჯერა, რომ იგი ნაყოფიერ კვალს დატოვებს ჩემი და, საერთოდ, მისი ყველა მონაწილის პირად და შემოქმედებით საქმიანობაში.

მომწონს სემინარზე გამეფებული მეგობრული, ურთიერთპატივისცემითა და სიყვარულით შეზავებული ატმოსფერო.

შემოქმედებითი გეგმები? მსურს ტილოზე გადავიტანო ჩვენი დღეების მღელვარე ცხოვრება, ადამიანები, რომლებიც გარდაქმნის ავანგარდში არიან.

წლეულს თბილისში გაიხსნება ჩემი ნახატების გამოფენა. მღელვარებით ველოდები ამ დღეს.

მაია სამანიშვილი, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი: აქ ბევრ ჩემს კოლეგას შევხვდი. ზოგიერთ მათგანთან თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი, დღეს კი პროფესიული მსახიობის ძნელ, მაგრამ საინტერესო საქმიანობას ვეწევით. რომელ ქალაქში, რომელ თეატრშიც უნდა მუშაობდეს ახალგაზრდა მსახიობი, ყველას ერთი პრობლემა აწუხებს: ბინის პრობლემა. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ პერიფერიის თეატრში სამუშაოდ წასვლა არავის არ სურს, თუმცა არც დედაქალაქის ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალები ყოფილან ამ მხრივ დალხინებულ მდგომარეობაში.

ახლა ჩვენი თეატრის შესახებ: ბულგარელ რეჟისორთან ნადეჟდა სეიკოვასთან ერთად მოვამზადებთ თანამედროვე ბულგარელი ავტორის პიესას, რომლითაც წარვდგებით სოფიის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. ამჟამად ვმუშაობთ ი. რაძინსკის „ნერონისა და სენეკას თეატრზე. სპექტაკლს რეჟისორი გიორგი გაბელაია დგამს.

ამ ბოლო ხანს ჩვენს თეატრში მომხდარი სასიკეთო ძვრები უთუოდ დაკავშირებულია ნიჭიერი და ენერგიული რეჟისორის ედგარ ეგაძის სახელთან. და მით უფრო სამწუხაროა, რომ იგი ადრე წავიდა თეატრიდან და ცხოვრებიდანაც...

ამჟამად თეატრში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა. ახალგაზრდა ხელოვანი ლევან სვანაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა კოლექტივს, საინტერესო შემოქმედია, მისი და თეატრალური დასის შემოქმედებითი ურთიერთობა ბევრ საინტერესოს გვპირდება.

ნუგზარ ერგემლიძე (თბილისი), კომპოზიტორი: მე, როგორც საქართველოს რადიოს „პიკის საათის" მუსიკალურ რედაქტორს, მაინტერესებს მკითხველების (იგივე რადიომსმენელების) აზრი ჩვენს პროგრამაზე. გვსურს იგი უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გავხადოთ. რა თქმა უნდა, მათთან მოთათბირებით, მათი თანადგომითა და მეცადინეობით. ასე რომ, ძალიან გვაინტერესებს მკითხველთა და რადიომსმენელების შენიშვნები, წინადადებები, მოსაზრებები, რომლებსაც ყურადღებით შევისწავლით და მუშაობაშიც გავითვალისწინებთ.

კარგია, რომ სემინარზე სხვადასხვა პროფესიის შემოქმედებითი ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს. ბჭობა და კამათი კონკრეტული და საგნობრივია. განწყობილება — საქმიანი, ატმოსფერო — უშუალო და მეგობრული.

მაია სამანიშვილი.



ზაურ აჯბა.

ნუგზარ ერგემლიძე.

სემინარზე ჩემი ნახატებით ჩამოვედი. ყოველ შემთხვევისათვის წამოვიღე გიტარაც. თუ სათქმელ" ტრიბუნიდან ვერ ვთქვი (ტრიბუნაზე ყოველთვის უხერხულად ვგრძნობ თავს), მაშინ ესტრადაზე ავალ და სიმღერას წინ რაღა დაუდგება?!

• • •

კიდევ და კიდევ ვუბრუნდებით ვ. ი. ლენინის სიტყვებს: „ჩვენი ახალგაზრდობის მომავალი ღრმად მაღელვებს, იგი რევოლუციის ნაწილია". ბელადის ეს სიტყვები ერთობ საჭირო და მნიშვნელოვანია დღესაც, რადგან რევოლუცია ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნებით დღესაც გრძელდება.

სოფელი

სადი თესლი უხვი მოსავლის საწინდარია

„კომუნისტის" სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

საგაზაფხულო კულტურების თესვა ზოგან უკვე დაიწყო. ამ მნიშვნელოვანი კამპანიისათვის მზადება, უწინარესად ხარისხოვანი თესლით უზრუნველყოფა, ყველა მეურნის გადაუდებელი საზრუნავია. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საზოგადოებრივ მეურნეობებში, ვინ როგორ შეხვდა გაზაფხულს?

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის მონაცემებით, პირველი მარტისთვის რესპუბლიკაში ყოველგვარი საგაზაფხულო თავთავიანებისა და მარცვლოვანი პარკოსნების (სიმინდის ჩაუთვლელად) თესლის ჩაყრის საგეგმო დავალება 143 პროცენტით იყო შესრულებული. თესლი თითქმის ყველა კონდიციურია (უკონდიციოა მხოლოდ 0,3 პროცენტი). კარტოფილის თესლი ასევე დიდი რაოდენობით არის მომარაგებული (117 პროცენტი). ერთი სიტყვით, მოწინავე რაიონებმა დროულად იზრუნეს სადი თესლის საჭიროზე მეტი რაოდენობით გამოყოფისათვის. მაგრამ ამ მხრივ დღემდე არ უზრუნია სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივი მეურნეობების ბევრ ხელმძღვანელს. ამიტომაც აკლიათ კარტოფილის (815 ცენტნერი), ხორბლის (20 ცენტნერი) და მარცვლოვანი პარკოსნების (123 ცენტნერი) თესლი. ხორბლის თესლი არ მოუმარაგებიათ ახალქალაქის, ახალციხის და ბოგდანოვკის რაიონებს. მარცვლოვანი პარკოსნების თესლი აკლიათ გარდაბნის, კასპის, თეთრი წყაროს, თიანეთის, წალკის და წითელწყაროს რაიონებს, კარტოფილის თესლი კი აჭარის ასსრ საზოგადოებრივ მეურნეობებს, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, მცხეთის, დმანისის, დუშეთის, ონის და თიანეთის რაიონებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რესპუბლიკას დიდძალი თესლი აქვს მომარაგებული და აქ დასახელებულმა რაიონებმა დროულად უნდა გაიტანონ იგი.

რესპუბლიკაში სოიის თესლის გეგმა მხოლოდ 76 პროცენტით არის შესრულებული. გორის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებს ჯერ სოიის თესლისთვის არ უზრუნიათ. მათ შესაბამისად გეგმის 300, 300 და 320 ცენტნერიდან არც ერთი კილოგრამი არ მოუმარაგებიათ: აფხაზეთის ასსრ, ჭიათურის, წყალტუბოს, ტყიბულის ზონების საზოგადოებრივ მეურნეობებში, გეგეჭკორის, ხობის, მცხეთის და წულუკიძის რაიონებში კი იგი ბევრი აკლიათ. არადა, სოია მრავალმხრივ სასარგებლო, ცხიმებით მდიდარი კულტურაა: ამიტომ მას განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა მოვეკიდოთ. სანამ გვიან არ არის, აქ დასახელებული რეგიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა ამთავითვე უნდა შეავსონ სოიის თესლის დეფიციტი.

რა მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატვირთო ავტომობილების რემონტის მხრივ?

პირველი მარტისთვის ყოველგვარი ტრაქტორების 95 პროცენტი გამართული იყო, მათი მისაბმელი გუთნებისა და კულტივატორების — 95 პროცენტი, კარტოფილის სარგავი მანქანების 96 პროცენტი და სატვირთო ავტომანქანების 90 პროცენტი. ტრაქტორების შეკეთებაში რესპუბლიკის საერთო მაჩვენებელს ჩამორჩებიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობები, ბორჯომის, ვანის, გეგეჭკორის, ქარელის, ონის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ხაშურის, ხობის, წალკის, ცაგერის, წალენჯიხის და წულუკიძის რაიონები, ხოლო სატვირთო ავტომანქანების რემონტში — აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ვანის, გეგეჭკორის, დუშეთის, ზესტაფონის, ყაზბეგის, კასპის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, საჩხერის, თეთრი წყაროს, თიანეთის, წალკის, ცაგერის, წალენჯიხის და ჩოხატაურის რაიონები.

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები თანდათან ჩაღდება. შემჭიდროებულ ვადებში მისი წარმატებით დამთავრებისათვის საჭიროა ტექნიკის გამართული მუშაობა. ამიტომაც იგი დროულად და ხარისხოვნად უნდა შევაკეთოთ. დაყოვნების დრო აღარ არის!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. ბირიუკოვა თბილისში

14 მარტს საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. ბირიუკოვა.

თბილისის აეროპორტში მას დახვდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოჩეტოვი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ნ. რ. საჯაია, ვ. მ. სირაძე.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის პირმშო და ფლაგმანი — თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო" ინტენსიური ეკონომიკური განვითარების გზაზეა. დაიწყო რა ორი წლის წინათ თავისი საქმიანობის ყველა სფეროს რადიკალური გარდაქმნა, კოლექტივმა არსებითს პოზიტიურ ძვრებს მიაღწია. ქრონიკულად ზარალიანი საწარმოდან იგი მომგებიანი გახდა. შარშან, მაგალითად, მოგებამ ხუთ მილიონ მანეთს გადააჭარბა. სამეურნეო პრობლემებთან ერთად წყდება მრავალი სოციალური საკითხი.

14 მარტს კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. ბირიუკოვა. მასთან ერთად იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ქ. მაკეევი, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ი. გ. გრიცენკო.

ა. პ. ბირიუკოვა გაეცნო ძირითად წარმოებათა მუშაობას, ფეიქართა შრომისა და ყოფის პირობებს. საწარმოს მუშებთან და სპეციალისტებთან, ხელმძღვანელებთან საუბრის დროს ძირითადი ყურადღება დაუთმეს იმას, რომ ყოველნაირად უნდა გაუმჯობესდეს ნაწარმის ხარისხი, გაფართოვდეს ასორტიმენტი, მიაღწიონ მის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. ამ საქმეში კი აქ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე ვერ არის, საწარმოს პროდუქცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს წარმოების მუშაკთა მუშაობის პირობების გაუმჯობესების, მათი საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

კომბინატის დირექტორმა მ. თ. თენიეშვილმა ილაპარაკა გარდაქმნის პირველ ნაბიჯებზე, საწარმო რომ დგამს წარმოების სრულყოფის, სახელმწიფო მიღების პირობებში მუშაობის, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის გზაზე, შეეხო იმ სირთულეებსა და პრობლემებს, რომლებიც ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა. კერძოდ, ერთ-ერთი მათგანია ნედლეულის პრობლემა. ნედლეულის მომწოდებელთა შორის ყველაზე დიდია შულავრის მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკა. არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო მიღების დაბეჯითებული მოთხოვნით გვიწევს დიდძალი მიღებული ნედლეულის დაწუნება, რაც გავლენას ახდენს კომბინატის მუშაობაზე. მხოლოდ ამ ბოლო დროს იგრძნობა ერთგვარი ძვრები გაუმჯობესებისაკენ, მაგრამ ისინი ემყარება სახელშეკრულებო საწყისებს, განმტკიცებული არ არის კონკრეტული ვალდებულებებით. კომბინატის ხელმძღვანელობას არაერთხელ დაუყენებია საკითხი, რომ სახელმწიფო მიღება უნდა დაწესდეს მიმწოდებელ საწარმოებში, მაგრამ უშედეგოდ.

საუბარში ჩაება სოციალისტური შრომის გმირი, ოსტატის თანაშემწე ვ. ბ. ქემაშვილი. მას, ისევე როგორც კომბინატის სხვა მშრომელებსაც, აწუხებს ტექნიკური განახლების არასაკმარისი ტემპი. მართალია, შარშან შეცვალეს 87 ერთეული მოწყობილობა. დაიდგა ახალი სართავი, საგრეხი, საქსელავი, საქსოვი დაზგები და აგრეგატები. მაგრამ მთლიანად „ვიწრო ადგილების" ლიკვიდაცია ვერ მოხერხდა. კომბინატში შემუშავებულია ტექნიკური განახლების მიზნობრივი პროგრამა სახელწოდებით „ინტენსიფიკაცია-90". მისი განხორციელებისათვის ფრიად საჭიროა დაჩქარდეს შესაბამისი მოწყობილობის გამოყოფა და მიწოდება.

საწარმოს კოლექტივთან და ხელმძღვანელობასთან საუბრების დროს კმაყოფილებით აღინიშნა, რომ იზრდება ფეიქართა ეროვნული კადრები, რომლებიც საწარმოს შრომით ბირთვს შეადგენენ, შედარებით მაღალია წარმოების კულტურა და თანამედროვე ასორტიმენტისაა პროდუქცია, რომელზეც მყიდველთა მოთხოვნაა. ამასთანავე აღინიშნა, რომ საწარმოში არსებული ბევრი პრობლემა უნდა გადაჭრან ადგილზე, საკუთარი ძალებით. მაგალითად ზოგიერთი ტექნოლოგიური ოპერაციის მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაცია. აქ თავიანთი მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა თქვან საწარმოს ნოვატორმა ინჟინრებმა. ყოველმხრივ უნდა გაფართოვდეს მონათესავე საწარმოებთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან კომერციული და საქმიანი ურთიერთობა.

განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო კომბინატის სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. საწარმოს ადმინისტრაციის, პარტკომის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეცადინეობამ სოციალური ბაზის განმტკიცებისათვის კარგი ნაყოფი გამოიღო. მოქმედებს კვების კომბინატი, რომელიც მშრომელებს უზრუნველყოფს იაფი და მრავალფეროვანი კერძებით, საოჯახო სამზარეულო. ამას წინათ აშენდა კლუბის ახალი შენობა, სადაც ფუნქციონირებს 30-მდე წრე და სექცია. თვით მშრომელების გარდა აქ მეცადინეობის შესაძლებლობა აქვთ მათ შვილებსაც. მთლიანად განახლებულია საყოფაცხოვრებო კომპლექსი, რომელშიც შედის საპარიკმახერო, სასურსათო მაღაზია, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო და ა. შ. მაგრამ მუშაობის გარდაქმნა, დაჩქარება, ხაზგასმით აღნიშნა ა. პ. ბირიუკოვამ, მოითხოვს ადამიანთა საყოველდღეო პრობლემების ოპერატიულ გადაჭრას. ავიღოთ, მაგალითად, საბინაო საკითხი, რომელიც აქ მწვავედ დგას — აღრიცხვაზე აყვანილია ასობით ოჯახი. ადმინისტრაციას, რომელსაც აქვს საცხოვრებელი სახლის აშენების სახსრები, არ უზრუნველყოფს მისი მშენებლობის დაწყების საკითხის გადაწყვეტას.

ა. პ. ბირიუკოვამ კომბინატის ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრო აგრეთვე იმას, რომ უფრო სრულად და საგნობრივად გამოიყენონ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონით მინიჭებული უფლებები, სადაც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ შეუძლიათ მიმწოდებელი თავისუფლად აირჩიონ. ითქვა, რომ უფრო აქტიურად უნდა ეძებდნენ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ოპტიმალურ ფორმებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აღნიშნა, რომ კოლექტივმა წარმატებით დაიწყო მიმდინარე წელი და შეეხო გამოუყენებელ რეზერვებს. მაგალითად, საჭიროა 1990 წლისათვის სიმძლავრეთა დატვირთვა გადიდდეს 94 პროცენტამდე, გამოირიცხოს მთელი არამწარმოებლური დანაკარგები, დაადგნენ ყველა წარმოების იჯარასა და სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის მტკიცე კურსს, უზრუნველყონ პროდუქციის გამოშვება მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე და გააუმჯობესონ მისი ფერთა გამა. თვითდაფინანსების პირობებში ეს დიდ მოგებას მოიტანს, კოლექტივი შეძლებს დააჩქაროს ცხოვრების სოციალური სფეროების განვითარება, უფრო სწრაფად დააკმაყოფილოს საცხოვრებელი ფართობით ყველა უბინაო.

ახლა საწარმოში სპეციალიზებული და კომპლექსური ბრიგადების ბაზაზე მოქმედებს 11 სამეურნეოანგარიშიანი კოლექტივი, რომელთა მუშაკების საერთო რიცხვი ათასს აღემატება. ხელფასისა და პრემიების განაწილება აქ თითოეულის შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გათვალისწინებით ხდება. ამრიგად, თვით ძირეული საწარმოო რგოლები გზას უღობავენ წუნსა და არაორგანიზებულობას, დაინტერესებული არიან იმით, რომ ყოველმხრივ გაიზარდოს შრომის ეფექტიანობა, გაუმჯობესდეს მისი ხარისხი.

... მყუდრო ორსართულიანი სახლი. აქ განლაგებულია საწარმოს საბავშვო ბაღი, სადაც ორასამდე ბავშვი დადის. აქ ყველაფერია იმისათვის, რომ ბავშვები იზრდებოდნენ არა მარტო ჯანმრთელი, არამედ ყოველმხრივ განვითარებულნიც. ა. პ. ბირიუკოვა გაეცნო ბავშვთა მოვლის პირობებს, ესაუბრა თავად ბავშვებს და მათ მშობლებს, აღმზრდელებს.

და აქაც არის პრობლემები. ახალგაზრდავდება საწარმოს კოლექტივი, და ამასთან ერთად სულ უფრო მატულობს ახალგაზრდა დედების რიცხვი. და თუმცა საბავშვო ბაღი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს, ყველას დაკმაყოფილება ვერ ხერხდება. ამიტომ დროა იფიქრონ მის გაფართოებაზე, იმაზე, რომ შეუმსუბუქონ კომბინატის მუშაკებს ბავშვთა მოწყობასთან დაკავშირებული საზრუნავი.

• • •

საღამოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და რესპუბლიკის ხელმძღვანელები დაესწრნენ თბილისის მარიონეტების სახელმწიფო თეატრის სპექტაკლს „ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა".

(საქინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ზრდიან წველადობას

ხაშურის რაიონის მეიხვეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში რომ საგეგმო დავალებები სისტემატურად სრულდება, უკვე არავის უკვირს. წელსაც აქაურმა მეფრინველეებმა იხვის ხორცის დამზადების ორი თვის გეგმა გადაჭარბებით გაანაღდეს და სახელმწიფოს 42 ტონა ხორცი მიჰყიდეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ტონისა.

გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ ბოლო წლებში აქაურმა მეფრინველეებმა ჩინებული მეცხოველეების სახელიც დაიმკვიდრეს. სასურსათო პროგრამის განხორციელებაში თავისი წვლილი რომ შეეტანათ, მეიხვეებმა დამხმარე მეურნეობა მოაწყვეს — ძველი, მიგდებული ფერმის შენობა შეაკეთეს, განაახლეს და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი შემოიყვანეს. ფერმა მექანიზებულია — ნაკელის გატანა-დარწყულება, საკვების დარიგება, ასე განსაჯეთ, ფურების წველაც კი.

რაც შეეხება რძის წარმოებას, მეიხვეებმა რაიონის მოწინავე საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეებსაც კი აჯობეს. შარშან საწარმომ სახელმწიფოს 46 ტონა რძე მიჰყიდა, საშუალოდ ფურზე 2460 კილოგრამი რძე მოწველეს, რაც საუკეთესო მაჩვენებელია რაიონში. წლეულს ფერმაში 60 ტონა რძის დამზადებას ვარაუდობენ. მეიხვეებს განზრახული აქვთ საშუალო წველადობა 2700 კილოგრამამდე გაზარდონ.

▼▼

ვაგზლის რეკონსტრუქცია

დასასრულს უახლოვდება ქუთაისის რკინიგზის სადგურის ვაგზლის შენობის რეკონსტრუქცია. ფაქტობრივად ეს იქნება ახალი თანამედროვე ნაგებობა, რომლის გამტარუნარიანობა არსებულს 2,5-ჯერ და მეტად გადააჭარბებს.

ვაგზალს აქვს მგზავრთა მოსაცდელი დარბაზები, დედათა და ბავშვთა ოთახები, საძინებელი განყოფილება ტრანზიტად მიმავალი მგზავრებისათვის, სხვა დამხმარე ნაგებობანი.

შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს გადახურული ბაქნის მშენებლობა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტმა ვერ უზრუნველყო რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დროული მოწოდება.

▼▼

მწყობრშია ჯანმრთელობის კერა

დამსვენებელთა პირველი ჯგუფი მიიღო სანატორიუმ-პროფილაქტორიუმმა, რომელიც ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშში აგეს.

სანატორიუმ-პროფილაქტორიუმს აქვს ფართო და ნათელი საძინებელი ოთახები, თერაპიული, გულსისხლძარღვთა, ნერვული, სამკურნალო ფიზკულტურისა და სხვა კაბინეტ-ლაბორატორიები.

დამსვენებლები: ომისა და შრომის ვეტერანი ა. ხუბუა, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ვ. ჩიქავა და სხვები მადლობას უხდიან სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის ექიმებსა და კვების ბლოკის მუშაკებს ზრუნვისათვის.

▼▼

ინდოელები გაეცნობიან საქართველოს

გუშინ თბილისიდან ინდოეთს გაემგზავრა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა ჯგუფი. ინდოეთში სსრ კავშირის დღეების პროგრამით ქვეყნის უდიდეს ქალაქებში დელში, ბომბეისა და კალკუტაში ეწყობა ღონისძიებათა ციკლი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მაგალითზე წარმოაჩენს საბჭოთა პროფტექნიკურ განათლებას. ამ ქალაქებში მონაცვლეობით გაიმართება მოძრავი გამოფენა. დამთვალიერებლები იხილავენ თბილისის მე-11, მე-18, მე-6, 95-ე, ქუთაისის მე-4 და სხვა სასწავლებლების, პროფტექგანათლების ტექნიკის სახლის წრეების მოსწავლეთა ნამუშევრებს: საზარატო ჩარხებს, საწარმოო რობოტებს, სხვადასხვა მანქანის მოქმედ მოდელებს, სახვითი ხელოვნების ნიმუშებს... ელექტრიფიცირებულ სტენდებზე განლაგებული ფოტო და საინფორმაციო მასალა, დიაგრამები, სქემები მათ გააცნობს პროფესიულ-ტექნიკური განათლების მიღწევებს, განვითარების პერსპექტივებს, გამოფენის პარალელურად საქართველოს წარგზავნილები წაიკითხავენ ლექციებს ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშათა მომზადების პრობლემებზე, რესპუბლიკის დღევანდელობაზე.

ღონისძიებათა ციკლს გაამრავალფეროვნებს პროფტექგანათლების კულტურის სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლისა და ქალთა ვოკალური ანსამბლის „თაიგულის" გამოსვლები.

გამოფენა ორ თვეს გასტანს.

▼▼

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. თევდორე ტროფიმეს ძე მორგუნი დანიშნა სსრ კავშირის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საბჭოთა კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ჰ. კოლისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური ვიზიტების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. კოლის ურთიერთშორიგების თანახმად ფედერალური კანცლერი სსრ კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვა 1988 წლის შემოდგომაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი კი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა 1989 წლის პირველ ნახევარში. ვიზიტების უფრო ზუსტი ვადები მოგვიანებით განისაზღვრება.

პარტიული ცხოვრება

ახლა, გარდაქმნის მეორე ეტაპზე, როცა სკკპ XIX საკავშირო კონფერენციამდე ოთხ თვეზე ნაკლები დარჩა, სულ უფრო აქტიური და ორგანიზებული ხდება პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი საერთო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. კომუნისტები პარტიის საოლქო, საქალაქო თუ რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, აქტივის კრებებზე პირუთვნელად, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად, საქმიანად აანალიზებენ გაწეული მუშაობის ავ-კარგს, ამხილებენ ნაკლოვანებებს, გარდაქმნის ხელშემშლელ მიზეზებს, სახავენ მათი გამოსწორებისა და უკეთ მუშაობის კონკრეტულ გზებს.

ამ მხრივ საყურადღებოა პარტიის ხობის რაიკომის პლენუმზე საბჭოთა მეურნეობა „განთიადის" პარტიული კომიტეტის მდივნის ჯულიეტა ჯიშკარიანის გამოსვლა, რომელსაც დღეს გთავაზობთ.



კომუნისტი ითხოვს სიტყვას

თვით გარდავიქმნათ და საქმეც გარდავქმნათ

პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მარტო მოწოდებებით რომ არ გარდაიქმნება, ყველასათვის ცნობილია. ისიც ფაქტია, რომ საგრძნობ გააქტიურებასა და სრულყოფას საჭიროებს საამისოდ გამიზნული საქმიანობის ფორმები და მეთოდები. ერთგვარი სასიკეთო ძვრების მიუხედავად, ამ მხრივ საფიქრალი საკმაოდ გვაქვს. გულახდილად რომ ვთქვათ, ჯერჯერობით მეტ-მოწმებლის დასანახავად უფრო ვმუშაობთ, ვიდრე ნამდვილი საქ- [illegible]

იყოს პარტიული მუშაობის ორგანიზატორი, ინსტრუქტაჟის გამწევი გამოცდილი ან თუნდაც ახალბედა მდივნისათვის? საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორმა როდის ან სად უნდა ისწავლოს პარტიული მუშაობა, თუ არა აქ, რაიკომში? პარტორგანიზაციის მდივნებსა და ინსტრუქტორებს მხარდაჭერა და ნამდვილი პარტიული მუშაობის საშუალება თუ არ ექნათ, ვერც ავტორიტეტს მოიხვეჭენ. ვთქვი და კვლავ ვიმეორებ: მართალია, ავტორიტეტს თვითონ პიროვნება უქმნის საკუთარ თავს, მაგრამ ობიექტური პირობებიც დროზე თუ არ წაეხმარა, ისე არაფერი გამოვა. დაუფარავად უნდა ვთქვა: [illegible]

თესვა 10 ივლისს დავამთავრეთ. ამ დროისათვის კი დათესილი მცენარე ქაღალდზე უკვე „ყვაოდა". და გვიკვირს მერე, რომ მოსავლიანობა მცირეა. არა გვაქვს სათანადო ტექნიკაც. მივიღებთ ვითომ ახალ ტრაქტორს, რომელიც ფაქტობრივად ნახევარტრაქტორია. არადა, ვერც საყვედურს იტყვი ხმამაღლა და ვერც სატკივარს გაამხელ, რადგან მერე იმ ნახევარსაც არ მოგცემენ. სადამდე უნდა გაგრძელდეს ასე?

ხშირად, ოდესღაც დადგენილი ნორმებისა და ინსტრუქციების ტყვეობაში მოქცეულნი, მათ ჩარჩოებს ვერ გავცილებივართ, ახლებური გადაწყვეტილება ვერ მიგვიღია. მაგალითად, ხელფასის სიმცირის გამო გვიჭირს ადგილზე თივის დამზადება. გარიგებით რომ შეგვეძლოს მისი დამზადება, ერთ ტონაზე სულ დიდი 60 მანეთი დაგვეხარჯებოდა. და ეს მაშინ, როცა შემოტანილი ნამჯა (და არა თივა) 130-170 მანეთი გვიჯდება. მაგრამ ამაზე არავინ ტეხს განგაშს იმ უბრალო მიზეზების გამო, რომ დღევანდლამდე გარიგებით დამზადება უკანონოა, ხოლო ზედმეტი მანეთების გადახდა — კანონიერი (?!). არც მარცვლეულის მოყვანისათვის მუშათა პრემირების საკითხია მთლად დამაკმაყოფილებელი [illegible]

[illegible]

ამას სულაც არ ვამბობ თავის გამართლების მიზნით.

უჭირს პარტიული ორგანიზაციის მდივანს, უჭირს იმიტომ, რომ იგი ხშირად თითქმის მარტოდმარტო, მოწოდებების ამარა დგას გარდაქმნის მოთხოვნებისა და ხალხის წინაშე. მას წესდებით უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად უფლებებიც დიდი აქვს, მაგრამ პრაქტიკულად პასუხისმგებლობაღა შემორჩენია, არც ადგილზე ეკითხება ვინმე ბევრ რამეს და არც რაიკომში ჰყავს ბევრი მხარდამჭერი. ვიცი, მეტყვიან, და სავსებით სამართლიანადაც, ავტორიტეტს ხელოვნურად ვერავინ შეგიქმნით, თავად უნდა მოიპოვოთო. მართალი ბრძანებაა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ საამისოდ ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოს სათანადო მხარდაჭერაც არის საჭირო. ჩვენთან კი რა გამოდის: მეურნეობის დირექტორის ერთ ვაკანტურ ადგილზე 9 კანდიდატურა გაჩნდება უცებ, ხოლო პარტკომისა და მით უფრო პარტორგანიზაციის მდივნის კანდიდატურა კი, რომ იტყვიან, სანთლით არის საძებარი. რაიკომის ბიუროც უფრო „გულდასმით" დირექტორის კანდიდატურას ეძებს, ხოლო პარტკომის მდივნის არჩევას შედარებით იოლ საქმედ თვლის, მეტი დახმარება და ყურადღება გვჭირდება პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებისგანაც. ინსტრუქტორი, რომელიც კვირაში ერთხელაც ვერ მოიცლის ორგანიზაციაში მისასვლელად, ხოლო თუ მივა, მაშინაც სხვა საქმისთვის, შეიძლება

[illegible] ამოჩენილს, საკუთარი თავი შემეცოდა. ასე დაინერგება იჯარა ფერმაში? რას აკეთებს პარტიული ორგანიზაცია მეურნეობის ეკონომიკური პოტენციალის განსამტკიცებლად? ბევრს ვერაფერს! ეკონომიკას ხომ ქმნის პროდუქცია, რომელიც ჩვენ და ჩვენისთანებმა უნდა ვაწარმოოთ. მაგრამ შარშანდელის მსგავსად თუ გვექნა საქმე და გეგმა კვლავ მაისამდე ვერ მივიღეთ და, რაც მთავარია, იგი მაშინაც არ იქნა მყარი, არ გვეცოდინა, თუ რის წარმოებას შეგვიმცირებენ და რისას გაგვიდიდებენ, რა გამოვა?

გეგმა იმან უნდა შეიმუშაოს, ვინც ეკონომიკურად აგებს პასუხს მისი შესრულებისათვის. არ შეიძლება მუშაობა ძველებურად დაგეგმოს ზემდგომმა, მისი შესრულებისათვის კი პასუხი აგოს მეურნეობამ. განა ლოგიკურია ეკონომიკური უფლება ეკონომიკური პასუხისმგებლობის გარეშე? გამოდის, რომ უფლება აქვს ერთს, პასუხისმგებლობა — მეორეს. ასეთ დამოკიდებულებას იწირება დიდძალი ეკონომიკური სახსრები, დრო და, ბოლოს, ადამიანის ავტორიტეტიც.

არასწორ ექსპლოატაციას ვუწევთ ჩაის კულტურას. მის პლანტაციებს ბევრს არაფერს ვაძლევთ, ყველაფერს კი ვთხოვთ ან კიდევ ავიღოთ სოიის საკითხი: ათასნაირ სხვადასხვა ტექნოლოგიას გამოდევნებულთ, ზოგჯერ საკუთარი გვავიწყდება. ასე იყო შარშან, როცა ასტრახანული ტექნოლოგიის მოლოდინში სოიის

[illegible] არ აჯობებს არ გამოვიდევნოთ დიდ საკრებულოს და ხალხთან ინდივიდუალურად, პირადი მაგალითით ვიმუშაოთ? მშრომელ კაცს ყველაზე ნაკლებად სჭირდება ჩიჩინი, გარდაიქმენიო, რადგან მას გარდაქმნამდეც მოჰყავდა სიმინდი, მოუკრეფია ჩაი და შემდეგშიც იგივე საქმე აქვს საკეთებელი. უწინარესად ჩვენი, ხელმძღვანელების მუშაობისა და ყოფის წესია გარდასაქმნელი. ამას კი მარტო პლაკატ-ლოზუნგები ვერ უშველის.

მე დღეს უმეტესად ნაკლოვანებებზე ვილაპარაკე არა იმიტომ, რომ კარგი არაფერი გვქონოდეს გაკეთებული. პირიქით, გაკეთებულიც და თავმოსაწონიც ბევრი რამ გვაქვს, მაგრამ ამას არავინ წაგვართმევს. აი, ახალი წარმატებები და გარდაქმნის ხელშემწყობი საშუალებები კი უნდა „გამოვტაცოთ" ხელიდან დროს, ყოველდღიურობას, საკუთარსავე პასიურობა-უდისციპლინობა-უპასუხისმგებლობას თუ სხვა მიზეზებს. უნდა გარდავიქმნათ, და ეს ხალხმა კონკრეტული შედეგებით უნდა იგრძნოს. სხვაგვარად არაფერი გამოვა. მხოლოდ ამ გზით შევეგებებით წარმატებით სკკპ მომავალ XIX კონფერენციას, რომლის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ჩვენი მეურნეობის კომუნისტებიც არიან ჩაბმულნი.

ჯ. ჯიშკარიანი,
ხობის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „განთიადის" პარტიული კომიტეტის მდივანი.

პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემა

განახლების იდეოლოგია

შევისწავლოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა „რევოლუციურ გარდაქმნას — განახლების იდეოლოგია".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მასალების ღრმად შესწავლის მიზნით რეკომენდებულია პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში მოეწყოს ერთი მეცადინეობა.

პროპაგანდისტებს ვთავაზობთ ზემოაღნიშნული მასალების შესწავლის სანიმუშო გეგმას:

1. სახალხო განათლების სისტემის რეფორმის გაღრმავება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების თვისებრივი განახლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

სკოლის, განათლების, აღზრდის როლი საზოგადოებაში, რომელიც რევოლუციურად გადადის თვისებრივად ახალ მდგომარეობაში. სკოლის რევოლუციური განახლების აუცილებლობა. მასწავლებელი გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი მოქმედი პირია. სახალხო განათლების რეფორმის გაღრმავების პრობლემები. სახალხო განათლე- [illegible]

შექმნის იდეა. დემოკრატია და კულტურა. კულტურული რევოლუციის ლენინური პროგრამის განხორციელების მნიშვნელობა. კულტურის პრობლემების კავშირი ერთაშორის ურთიერთობასთან, ახალგაზრდა თაობის ინტერნაციონალისტურ აღზრდასთან. საბჭოთა პატრიოტიზმი ჩვენი უდიდესი ღირებულებაა. ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინება შეუთავსებელია საბჭოთა პატრიოტიზმთან.

პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უდიდესი როლი დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესების განვითარებაში, გარდაქმნის გამოცდილების გავრცელებაში.

4. იდეოლოგიური მუშაობის სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფა. რადიკალური ეკონომიკური რეფორმა და ახალი, შე- [illegible]

რუნველყოფის ამოცანათა შესრულების მიმდინარეობა. მიღწევები, ნაკლოვანებები, ამოცანები.

5. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის აუცილებლობა დემოკრატიზაციის თვალსაზრისით.

საბჭოების როლის კარდინალური შეცვლა, ძალაუფლების აღორძინება მისი ლენინური გაგებით. საარჩევნო სისტემის სრულყოფა, საზოგადოებრივ სტრუქტურათა სისტემის განვითარების, საზოგადოებრივ ფორმირებათა შექმნის საკითხი. პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა პოლიტიკური სისტემის რეფორმის ძირითადი საკითხია.

- პარტიის წარმმართველი და ხელმძღვანელი როლი სოციალისტური საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. პარტიის, [illegible]

[illegible]

ლის გარდაქმნის მიმდინარეობისა და მისი განხორციელების საქმეში პარტიის ამოცანების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის 18 თებერვლის დადგენილება. „კომუნისტი", 1988, 21 თებერვალი.

მ. ს. გორბაჩოვი — „ოქტომ- [illegible] ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირზე. „კომუნისტი", 1988, 2 ოქტომბერი.

[illegible] მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვის — „რევოლუციურ გარდაქმნას — განახლების იდეოლოგია" — მიხედვით. „კომუნისტი", 1988, 28 თებერვალი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი.

პ. ბერძენიშვილი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 75 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ ყოფილი პროკურორი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიული განყოფილების ყოფილი გამგე, 1941 წლიდან სკკპ წევრი პავლე ეპიფანეს ძე ბერძენიშვილი.

პ. ე. ბერძენიშვილი დაიბადა 1912 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ფარცხმაში. 16-17 წლის ყმაწვილი სწავლის პარალელურად ფიზიკურად მუშაობს კოლმეურნეობაში, სადაც დააწინაურეს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ. 1934 წელს გამგეობა მას, როგორც სოფლის მეურნეობის წარჩინებულ მუშაკს, სწავლის გასაგრძელებლად გზავნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1938 წელს.

პ. ე. ბერძენიშვილი 1940-1941 წლებში ჯერ თბილისის ლენინის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწეა, შემდეგ კი — პროკურორი. 1941 წლიდან იგი საბჭოთა არმიის რიგებშია. მან თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე იმუშავა სამხედრო იუსტიციის ორგანოებში. 1954 წლამდე სამხედრო ტრიბუნალის წევრია. 1955 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორის თანაშემწედ, სადაც იმუშავა 1961 წლამდე.

პ. ე. ბერძენიშვილის მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო საქართველოს სსრ პროკურორის პოსტზე — 1961-1970 წლებში. 1970 წლიდან 1988 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიულ განყოფილებას, საიდანაც გავიდა დამსახურებულ პერსონალურ პენსიაზე.



ყველა პოსტზე, მუშაობის ყოველ უბანზე პ. ე. ბერძენიშვილი მტკიცედ და ენერგიულად ემსახურებოდა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის პასუხსაგებ საქმეს, სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

პარტიამ და სახელმწიფომ ღირსეულად დააფასეს პ. ე. ბერძენიშვილის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავისა და პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენებით, მრავალი მედლით. არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება.

სოციალისტური კანონიერებისათვის მტკიცე მებრძოლის, დიდი სამამულო ომის ვეტერანის, გულისხმიერი და ყურადღებიანი ხელმძღვანელის პავლე ეპიფანეს ძე ბერძენიშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს საზოგადოებაში.

ჯ. ი. პატიაშვილი, ბ. გ. გილაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ვ. ი. ალავიძე, გ. გ. გუმბარიძე, ვ. გ. ბაქრაძე, შ. ვ. გორგოძე, ა. გ. კარანაძე, ა. ი. კავსაძე, ვ. ა. რაზმაძე, ჯ. ნ. გოგიტიძე, ნ. ა. ჟვანია, ზ. პ. მახარაძე, ა. ვ. პაპუაშვილი, ი. პ. ჩიქოვანი.

მეგობრობის მაგისტრალზე

ერევნის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე „საუკეთესო დამრიგებლის" წოდება მიენიჭა... „თბილისგვირაბმშენის" სამმართველოს №5 გვირაბგამყვანთა რაზმის კომპლექსურ ბრიგადას. მოწინავე კოლექტივს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. ქიწმარიშვილი, რომელსაც უკვე აქვს ბაქოსა და ტაშკენტის მეტროპოლიტენში მუშაობის გამოცდილება და ახლა თავის კოლეგებს დაეხმარა მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქის მეტროს მორიგი უბნის აგებაში.

— ასეთი ურთიერთდახმარება ახასიათებთ მეტრომშენებლებს, — თქვა გ. ქიწმარიშვილმა. — თავის დროზე ხომ, როცა მიწისქვეშა მაგისტრალები შენდებოდა საქართველოს დედაქალაქში, ჩვენი პირველი დამრიგებლები მოსკოველი და ლენინგრადელი გამოცდილი მუშები იყვნენ. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ლენინგრადელები გვეხმარებიან ესკალატორების დამონტაჟებაში, ბაქოელები — ჰაბურღილების ბურღვაში. ახლაც მოსკოვის, კიევის, ხარკოვისა და გორკის ბრიგადები ჩვენთან მუშაობენ.

ც ნ ო ბ ა

ცალკეულ საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ

1988 წლის 13 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ცალკეულ საარჩევნო ოლქებში გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიეს:

№ 57 ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ვაჟა-ფშაველას საარჩევნო ოლქში — ამხ. ვიქტორ ბორისის ძე ბლაჟიევსკი, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი;

№ 213 ლაგოდეხის რაიონის ლაგოდეხის საარჩევნო ოლქში — ამხ. ენვერ ერასტის ძე კაპბა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე;

№ 255 თერჯოლის რაიონის ჭოგნარის საარჩევნო ოლქში — ვიქტორ აბიბოს ძე შარაშენიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი;

№ 345 ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს საარჩევნო ოლქში — არნოლდ ვახტანგის ძე ჟვანია, საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი;

№ 370 აფხაზეთის ასსრ ქალაქ გაგრის საკურორტო საარჩევნო ოლქში — ალექსანდრე შოთას ძე იოსელიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

(საქინფორმი).

გაზაფხული

სტარტზე არიან მეჩაიე მექანიზატორები

ხუთწლედის მესამე სეზონისათვის ემზადებიან წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოს კოლმეურნეობის მეჩაიეები. დასრულდა ას ორმოცდაათი ჰექტარი ჩაის პლანტაციების დამუშავება და კულტივაცია.

მიწათმოქმედებს შეაქვთ ორგანული და მინერალური სასუქები, დაიწყო ბუჩქების მექანიზებული სხვლა.

სურათზე: მთავარი აგრონომი ავთანდილ გაბელია (ცენტრში) დავალებას აძლევს მექანიზატორებს კობა ბელქანიასა და ვალერი ხულორდავას.

გ. შარაშენიძის (საქინფორმი) ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

კაცი, რომელიც დაგვაკლდა

გიორგი ცაბაძის სიმღერებს შესაშური ბედი აქვს. ისინი უყვარს ხალხს, მათში პოულობს ყველაზე სანუკვარი მისწრაფებების გამოხმაურებას. ცაბაძის მელოდიების გარეშე, რომლებიც ასე ამშვენებენ და ამდიდრებენ ჩვენს მშობლიურ მუსიკალურ კულტურას, ძნელი წარმოსადგენია ქართული ხელოვნება, იმდენად ორგანულად შეერწყა ისინი მას და დაიკავა თავისი შესაფერისი ადგილი. ამ პატარა მუსიკალურ ნოველებში თითქოს თითოეული ჩვენგანის ცხოვრების ნაწილია, სწორედ ამიტომ თითოეულს მიაჩნია, რომ ისინი სწორედ მისთვის არის შექმნილი, სწორედ მის გრძნობებს გამოხატავს... მაგრამ ეს არ არის შემოქმედის, შესანიშნავი მელოდიების ავტორის უკვდავების მიზეზი, მელოდიებისა, რომლებიც ათბობენ გულს, უმღერიან სიყვარულსა და სიკეთეს, ღირსებასა და პატიოსნებას, მეგობრობასა და ძმობას! ეს ამაღლებული და სპეტაკი მელოდიები თან ახლავს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელიც თითქოს ავსებს და ამდიდრებს ჩვენს სულიერ სამყაროს.

გიორგი ცაბაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ფურცელია მისი სიმღერების ციკლი თბილისზე. და თბილისელებმა ასმაგად მიაგეს პატივი მას ამ მუსიკისათვის, რომელსაც სიბერე არ უწერია. ეს ნათლად დაადასტურა კომპოზიტორის ხსოვნის საღამომ, რომელიც 12 მარტს გაიმართა სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში. ხალხით გაჭედილი დარბაზის თაღებქვეშ აჟღერდა გიორგი ცაბაძის სიმღერები, პოლიეკრანებზე იცვლებოდა კადრები, რომლებზეც აღბეჭდილია კომპოზიტორი მეგობართა წრეში, სიმღერების შექმნის პროცესში, და ყველაზე სამწუხარო კადრი: უკანასკნელი საავტორო კონცერტი გორში....

— თუმცა ეს საღამო ჩაფიქრებული იყო როგორც ქართული სიმღერის, გიორგი ცაბაძის მუსიკის უკვდავების დღესასწაული, მან მაინც გამოიწვია კომპოზიტორის ხალასი ნიჭის, ამ ცხოვრებიდან უდროოდ წასული ადამიანის ყველა თაყვანისმცემლის გულწრფელი ცრემლი, — თქვა პოეტმა მორის ფოცხიშვილმა, რომელსაც კომპოზიტორთან წლების მანძილზე დიდი შემოქმედებითი და ადამიანური მეგობრობა აკავშირებდა. გიორგი ცაბაძის მრავალი სიმღერა შექმნილია მორის ფოცხიშვილის ლექსებზე. თავის უფროს კოლეგას მუსიკალური ძღვენი მიართვა კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა: ახალი სიმღერა „გოგი ცაბაძე ეთხოვება თბილისს" მორის ფოცხიშვილის ლექსზე. იგი შეასრულა ავტორმა, აკომპანემენტს კი უწევდა კომპოზიტორი შოთა მილორავა. თავისი ხელოვნებით გიორგი ცაბაძის ხსოვნას პატივი მიაგეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნანი ბრეგვაძემ, საქართველოს სახალხო არტისტმა ვახტანგ კიკაბიძემ, ფილარმონიის სოლისტმა მომღერლებმა, მხატვრულმა კოლექტივებმა „რერომ", „ორერამ", „ივერიამ", „ოთხმა გიამ" და სხვა მონაწილეებმა.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, ბ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, გ. გ. გუმბარიძე, ვ. მ. სირაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გაიმართა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება „ძველი საცხოვრებელი სახლების აღებისა და 1981-2000 წლებში მათში მცხოვრები მოქალაქეების კეთილმოწყობილ ბინებში შესახლების უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 8 ივლისის დადგენილება.

აღინიშნა, რომ მარტო შარშან აღებულია 65.291 კვადრატული მეტრი საერთო ფართობი 162 საცხოვრებელი სახლი, კეთილმოწყობილ ბინებში შესახლებულია 1.629 ოჯახი (5.416 კაცი), ესე იგი დაწესებული დავალება შესრულებულია 106,8 პროცენტით.

მაგრამ ამას მიაღწიეს ქალაქების ბათუმის, ქობულეთის, თბილისის, რუსთავის, წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე ფოთის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ დავალებათა გადაჭარბებით შესრულების წყალობით.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა სოხუმის, ქუთაისის, მარნეულისა და ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების, ახალქალაქის, მახარაძის, გუდაუთის, ოჩამჩირის, ახალციხის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ამხანაგების ბიგვავას, ოყრეშიძის, იმანოვას, ბესაევის, გოგორიანის, ელენტის, ლაკობას, კაკუჩაიას, ჯინჭველაძის, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" გენერალური დირექტორის ამხ. იმხნელისა და სხვათა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ დაუშვებელია ავარიული და ძველი სახლების აღების დავალებათა შესრულების ჩაშლა, და გააფრთხილა ისინი, რომ პერსონალურად აგებენ პასუხს გეგმების შესრულებისა და 1987 წელს დაშვებული ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს 1987 წელს მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ გადავიდა რა მეურნეობის ახალ პირობებზე, კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა 1987 წელი. სანაოსნომ უზრუნველყო ტვირთზიდვა ყველა სახეობის ნაოსნობაში. მიღებულმა მოგებამ 17,4 მილიონი მანეთის ოდენობით კოლექტივს საშუალება მისცა გადაერიცხა სანაოსნოს, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდში დამატებით 4.230 ათასი მანეთი; სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში — 1051 ათასი მანეთი; მატერიალური წახალისების ფონდში — 904 ათასი მანეთი.

პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს (ამხ. ჭილვარია) განაგრძოს მუშაობა ახალ პირობებში მუშაობის დადებითი გამოცდილების სრულყოფისათვის, განახორციელოს ღონისძიებანი ფლოტის არამწარმოებლური მოცდენების შემცირებისათვის.

მოისმინეს საკითხი, თუ როგორ მუშაობს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე თავისი საწარმოებისა და საწარმოო-ტექნიკური სამმართველოების გადაყვანისათვის.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს (ამხ. კობახიძე) დაევალა განაგრძოს მუშაობა, რათა ძირფესვიანად გარდაქმნას ეკონომიკის მართვა, შექმნას საჭირო პირობები სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დებულებათა განხორციელებისათვის, გაზარდოს წარმოების ეფექტიანობა, მისი ინტენსიფიკაცია და დააჩქაროს დარგის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

მიღებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში საწარმოო ყოფის საუკეთესო ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დიპლომების დაწესების შესახებ".

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქინფორმს, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს დაევალათ ფართოდ გააშუქონ თავიანთ გადაცემებსა და პუბლიკაციებში რესპუბლიკის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში საწარმოო ყოფის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა პროექტი „ჯვარის წყალსაცავის ბაზაზე ქალაქ ზუგდიდის წყალმომარაგება", რომლის განხორციელება შესაძლებელს გახდის არსებითად გაუმჯობესდეს არა მარტო ქალაქ ზუგდიდის, არამედ ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების სოფლების მცხოვრებთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

სხდომაზე განიხილეს საკითხი, თუ როგორ სრულდება 1987 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამა. (საქინფორმი).

ზეგეგმითი სათბობი

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის — 19 ეშელონი ზეგეგმითი სათბობი! ამ დევიზით შრომობენ ახლა ტყიბულელი მეშახტეები და წარმატებებსაც აღწევენ. დასავლეთ შახტში, რომელიც შარშან ჩამორჩებოდა, დანერგეს მთელი რიგი ტექნიკურ-ორგანიზაციული ხასიათის სიახლენი. აამუშავეს ქვანახშირის სანგრევი კომბაინი, შახტის ყველა უბანი გადაიყვანეს სამეურნეო ანგარიშზე, განამტკიცეს საწარმოო და შრომის დისციპლინა.

შედეგმაც არ დააყოვნა. შახტის კოლექტივმა ორი თვისა და თხუთმეტი დღის გეგმა ვადამდე შეასრულა. განსაკუთრებით დაწინაურდა მესამე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი, რომელიც ახლა დღეში 7-8 პროცენტით მეტ ქვანახშირს იძლევა, ვიდრე წინათ.

▼ ▼

სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტში

გაიმართა თბილისის საბურთალოს რაიონის სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი პლენარული მეცადინეობა, რომელსაც მსმენელებთან ერთად დაესწრნენ რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების, არასრულწლოვანთა სამეთვალყურეო, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის კომისიების წევრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მსმენელთა წინაშე გამოსულებმა სახალხო დეპუტატთა საბურთალოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ჯაფარიძემ, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა თ. ნინიძემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თ. ლილუაშვილმა და სხვებმა ვრცლად ილაპარაკეს გარდაქმნის პირობებში კანონიერების განმტკიცების, მართლწესრიგის დაცვის საქმეში საზოგადოებრივ ფორმირებათა ფუნქციონირების მნიშვნელობაზე.

ერთობლივად შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევს საზოგადოებრივ ფორმირებათა წარმომადგენლებს.

მზადება გაიშალა

აბაშის რაიონის სოფელ ეწრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები შეუდგნენ ერთწლოვანი კულტურების უხვი მოსავლის მოწევისათვის სამზადისს. მათ შემჭიდროებულ ვადებში მოამზადეს 225 კვალსათბური და გამოიყვანეს ბევრად მეტი ჩითილი, ვიდრე XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებდა.

„კლასური-2" და სხვა უხვმოსავლიანი ჯიშების ნერგები მთლიანად გაახარეს სამეურნეო იჯარით მომუშავე თ. ხელაიას ბრიგადის წევრებმა, რომლებიც იმისათვის იღვწიან, რომ წელს თითოეულ ჰექტარზე 2-2,5 ცენტნერით მეტი მოსავალი მოიწიონ, ვიდრე შარშან.

თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეოდ

რუსი აკადემიკოსი ქართული კულტურის ძეგლების ერთგული დამცველი

ნიკოდიმე კონდაკოვი თბილისის უნივერსიტეტის პირველი საპატიო პროფესორი

1918 წლის 15 მარტს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოში წარდგინებით შევიდნენ რექტორი პეტრე მელიქიშვილი და ერთადერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯავახიშვილი ნ. პ. კონდაკოვის თბილისის უნივერსიტეტის საპატიო წევრად არჩევის თაობაზე. წარდგინებაში მოკლედ დახასიათებულია აკადემიკოს ნ. პ. კონდაკოვის სამეცნიერო დამსახურება. აღნიშნულია, მისი სახელი იმდენად „განთქმულია ხელოვნების ისტორიაში, რომ მისი სამეცნიერო ღვაწლის დაწვრილებით აღნუსხვა საჭირო არ არისო“ და რომ ნ. პ. კონდაკოვის შრომები მისი ავტორის სამეცნიერო შემოქმედების სიდიადეზე მიუთითებენ და ადასტურებენ მისი, როგორც მკვლევარის საერთაშორისო ავტორიტეტს. ამის გარდა, ვკითხულობთ წარდიგნებაში, მეტად ძვირფასია მის აღნიშვნა, რომ ნ. პ. კონდაკოვმა ქართული ხელოვნების ძეგლები „თავის კვლევის საგნად გაიხადა და ყოველთვის, როდესაც ეს შეიძლებოდა, ამ საგანს უბრუნდებოდა“. ეს იმ შრომებსაც გულისხმობს, რომლებიც საგანგებოდ არ იყო მიძღვნილი ქართული ხელოვნებისადმი... ასე, „რუსულ სიძველეთა“ მე-4 წიგნში, როგორც ცნობილია, ქართული ხელოვნების მოკლე ისტორიაა მოთავსებული და იმ დროისათვის ბევრ სრულებით ახალ ცნობებს შეიცავს“. წარდგინება შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა. „დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კონდაკოვმა თავის განთქმულ შრომაში „Византийские Эмали“ ბევრი ისეთი ძეგლი გაარჩია, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა და ეკუთვნის. შეიძლება საზოგადოდ ითქვას, რომ თუ რუსეთში და ევროპაში ქართული ხელოვნებისადმი ყოველი ცნობისმოყვარეობა არსებობს, ამას ჩვენ [illegible] ნ. პ. კონდაკოვს უნდა ვუმადლოდეთ.

ასეთი განსაკუთრებული ღვაწლის გამო საზოგადოდ ხელოვნების და კერძოდ ქართული ხელოვნების წინაშე სრულებით სამართლიანი იქნება, რომ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ იგი ჩვენი ქართული უნივერსიტეტის საპატიო წევრად ავირჩიოთ“.

მართლაც, ზუსტად 70 წლის წინათ — 1918 წლის 15 მარტს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ თავის საპატიო პროფესორად ერთხმად აირჩია ნ. პ. კონდაკოვი. ამ შესანიშნავი აქტით ახალფეხადგმულმა უნივერსიტეტმა მარტო ეროვნული კარჩაკეტილობის იდეა კი არ უარყო, ამასთან მადლიერება და პატივი მიაგო სახელგანთქმულ რუს მეცნიერს.

ასე დაიწყო თბილისის უნივერსიტეტმა სხვადასხვა ერის შვილთა — გამოჩენილ მეცნიერთა საპატიო დოქტორებად არჩევა. სულ შემდგომ წლებში არჩეულ იქნა 6 მეცნიერი — კანადელი, ფრანგი, გერმანელი, ნორვეგიელი, ინგლისელი და პოლონელი.

I.

ქართული კულტურის ძეგლებს, რომლებშიც ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიაა განივთებული, დაღუპვისა და განადგურების საფრთხე არაერთგზის დაემუქრებია.

ჩვენი დიდი წინაპრები თავიანთ შემოქმედებითს სურვილს როდი იკლავდნენ მარტოოდენ საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების შედევრების შექმნით.

ქართულმა ოქრომჭედლობამ მხატვრული სრულყოფის მწვერვალებს მიაღწია და საკაცობრიო კულტურის უძვირფასეს შემადგენელ ნაწილად იქცა, მაგრამ ხელოვნების ამ მოძრავ ძეგლებს ყოველთვის გაცილებით მეტი საფრთხე ემუქრებოდა. ჩვენ მხედველობაში კი არა გვაქვს მხოლოდ შინაურ და გარეშე მტერთა მხრივ მათი პირდაპირი გატაცება-გაძარცვა, არამედ ადამიანთა დაუდევრობა და უყურადღებობა, როცა აღურიცხველობისა და უკონტროლობის გამო იფანტება და ნიავდება ეს ძეგლები, გულგრილობის შედეგად ხდება მათი დაზიანება-გაფუჭება. ასეთი ერთი ნივთის ერთი მოსპობა ხომ ამ ძეგლის მოსპობას ნიშნავს საზოგადოდ. რამდენი ასეთი ჭეშმარიტი შედევრი დაკარგულა ჩვენში!

მაინც დიდად სამაყოა, რომ შუა საუკუნეების ოქრომჭედლობას უმაღლესი ნიმუშებით დღეს საქართველოს ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში. ჩვენი წმინდა ვალია ყოველთვის გვახსოვდეს ისინი, ვინც ამ დიდ საკაცობრიო კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნება-დაცვაში თავისი წვლილი შეიტანა.

რასაკვირველია, ქართული ოქრომჭედლობის ძვირფას ნიმუშებზე თავიანთ ანგარებიანი ხელი არ დაუკლიათ სასულიერო და საერო ხელისუფლების მრავალ ხარბ წარმომადგენელს, როგორც ეს გააკეთა გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს „მპარავმა და შერცხვენებულმა ყოფილ ქუთაისის გუბერნატორმა გრაფმა ლევაშოვმაც“, მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე ჩვენს ეროვნულ სიამაყესა და სიწმინდეს შეემთხვა სწორედ ასი წლის წინათ, როცა ამ ძარცვამ, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უფრო სისტემური ხასიათი მიიღო“.

ვინმე თვალთმაქცმა თბილისელმა ფოტოგრაფმა საბინგუსმა, რომელიც მხატვრობასაც ჩემულობდა, ქართული ოქრომჭედლობის და განსაკუთრებით კი ქართული მინანქრის ძარცვის მუხანათური გეგმა შეიმუშავა. სიტუაციის ტრაგიზმი ის იყო, რომ ამ გეგმის ნამდვილი არსი შეუმჩნეველი დარჩა თბილისის პატრიოტული ძალებისათვის. ამ განზრახვის წინააღმდეგ არამე პროტესტი არ თქმულა სადმე პრესაში. ამ სერიოზულ საფრთხეს შეეძლო ჩვენი მინანქრის გაქრობა საქართველოდან.

თავისი გეგმის ერთი ნაწილი საბინგუსმა მაინც განახორციელა. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს მუხანათობა, რომ პეტერბურგიდან არ ჩარეულიყო პროფ. ნ. პ. კონდაკოვი. ეს ჩარევაც კი შემთხვევითმა გარემოებამ განსაზღვრა.

საბინგუსმა ნებართვა აილო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისაგან, რომ ძველებური ვერცხლის ხატები და სხვა ნივთები ახალი ვერცხლისავე ხატებით და სხვა ნივთებით შეეცვალა. ამ საფარვლით საბინგუსმა დაიწყო სისტემატური თარეში საქართველოს ეკლესია-მონასტრების სალაროებში. საბინგუსს აინტერესებდა არა თვით ხატები და სხვა საკულტო ნივთები, არამედ უძვირფასესი ტიხრული მინანქრის მედალიონები, რომლებითაც ხატები იყო შემკული. მინანქრის ტექნიკურმა წარმოებამ X—XII საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოში უმაღლეს განვითარებას მიაღწია. მინანქრის ნიმუშებიდან შენახულია მცირე რაოდენობა და ისინი უძვირფასეს ექსპონატებად ითვლებოდა მუზეუმებისა და კერძო კოლექციებისათვის. ი. პოკროვსკის სიტყვით, „მეტად ადვილი გასაგებია, თუ როგორი მოგება უნდა ჰქონოდა ხელგამომავალ ფოტოგრაფს, როდესაც ხელში იგდებდა ხატს, მორთულს ოციოდე ამნაირი მედალიონით და მის მაგივრად დგამდა ვერცხლის შემკულ ხატს მოსკოვის სახელოსნოებიდან“.

ამ მზაკვრული მაქინაციის შედეგად, როგორც წერს პროფ. ვ. ლაზარევი, ერთი ხატის გაყიდვით იგი იღებდა 30 ათასიდან 50 ათასამდე მანეთს, შეცვლილი ხატების მაქსიმალური ღირებულება კი 400 მანეთზე მეტი არ იყო. ეს ვერაგული თარეში იმითაც იყო საბედისწერო, რომ შეწირულ ხატებს ძვირფას მედალიონებს გარდა ჰქონდა ისტორიული წარწერები თარიღებით, რომლებიც აგრეთვე უმოწყალოდ მოსპეს. საბინგუსი განაგრძობდა ამ ძვირფას კულტურულ ღირებულებათა ამდვილ დარბევას და ამდიდრებდა კერძო კოლექციონერებს რუსეთსა და ევროპაში. თავის ბნელ საქმეში წარმატებით გათავხედებულმა საბინგუსმა ერთერთი მედალიონი მოურიდებლად მიიტანა პეტერბურგში. იგი შეიძინა გრაფმა ა. ა. ბობრინსკიმ, რომელიც საიმპერატორო საარქეოლოგიო კომისიის თავმჯდომარე იყო. ეს შენაძენი ა. ა. ბობრინსკიმ უჩვენა პროფ. ნ. პ. კონდაკოვს. ჭეშმარიტმა მეცნიერმა და მოქალაქეობრივი ღირსებით შემკულმა ნ. პ. კონდაკოვმა თავის მხრივ უჩვენა გრაფს სწორედ ეს მედალიონი ჯუმათის მონასტრის ხატის ფოტოსურათზე, რომელიც ფოტოგრაფ ერმაკოვს გადაუღია ჯერ კიდევ 70-იან წლებში. პროფესორი ნიკოდიმე კონდაკოვი ნამდვილ ველჩართულ ბრძოლაში ჩაება ამ აფერის წინააღმდეგ.

ნ. პ. კონდაკოვმა და ა. ა. ბობრინსკიმ მედალიონი და ფოტოსურათი იმავე დღეს წარუდგინეს საიმპერატორო სამეფო კარის მინისტრს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, შემდეგ კი თვითონ იმპერატორ ალექსანდრე მესამეს. ნ. პ. კონდაკოვის წინადადებით გადაწყდა დაუყოვნებლივ აღეწერათ ეს საუნჯენი, რომლებიც საქართველოს ეკლესია-მონასტრებში იყო შენახული, და საქართველო-იმერეთის ეპარქიის უწყებისთვის მიეწერათ. ეკლესია-მონასტრებს დაევალათ მკაცრად დაეცვათ ამ აღწერაში აღნიშნული ყველა ნივთი. ნ. პ. კონდაკოვი მარტო ამ სასარგებლო წინადადებას არ დასჯერდა. მისი აღსრულება სხვისთვის არ მიუნდვია. იგი საგანგებო რწმუნებით თვითონ გამოემგზავრა საქართველოში. იგი ადრეც, 1873 წელს ყოფილა ქართული ხუროთმოძღვრების მეცნიერული კვლევის მიზნით, რაც დააგვირგვინა თავისი შესანიშნავი მონოგრაფიით საქართველოს ძველ ხუროთმოძღვრებაზე, მაგრამ განმეორებით ჩამოსვლას სრულიად განსხვავებული მიზანი ჰქონდა. ეს არ ყოფილა ქართულ კულტურულ ღირებულებათა აღწერისა და დაცვა-გადარჩენისათვის კერძო პირის ჩამოსვლა თუნდაც, როგორც ცნობილი მეცნიერისა. კერძო პირის აღშფოთება დიდ ვერაფერს მოიტანდა. მას ადვილად არც კი გააცნობდნენ ეკლესია-მონასტრების საგანძურს. აღწერას კი მათი ბედისთვის ზრუნვა ჰქონდა მთავარ მიზნად დასახული. ნ. პ. კონდაკოვი ფხიზლობდა, რომ არამც და არამც არ მომხდარიყო დაუდევრობით თუ ბოროტი განზრახვით ამ სიმდიდრეთა გაფანტვა-განიავება, და ახლა, 1889 წლის 28 ივლისს თბილისში ჩამოდის თვით ხელმწიფის უმაღლესი ნებით საიმპერატორო საარქეოლოგიო კომისიის წევრი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი პროფ. ნ. პ. კონდაკოვი, რომელსაც ევალება ქართული ეკლესია-მონასტრების განძის აღწერა, მასთან თანამშრომლობა ამ მაღალრწმუნების აღსრულებაში კავკასიის სამოქალაქო მთავარმართებლის ბრძანებით დაევალა ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს, კავკასიის სამხედრო-სახალხო მმართველობის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის თავმჯდომარეს, საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დ. ზ. ბაქრაძეს. ეს უკანასკნელი კი გორიდან იწვევს თედო ჟორდანიას, რომ დაესწროს ამ შეხვედრას. 1889 წ. 1 აგვისტოს „ივერიაში“ უკვე ცნობაა, რომ „ამჟამად ტფილისში იმყოფება პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა ბატონი კონდაკოვი. პროფესორს განზრახვა აქვს დაათვალიეროს და გამოიკვლიოს ზოგი ადგილები, რომლებიც შესანიშნავნი არიან ძველი ნიმუშებით“. მათ თბილისშივე დაიწყეს განთქმული „ანჩისხატის“ და სიონის სიძველეთა მუზეუმების ძვირფასეულობების დათვალიერება. ეს მუზეუმები 1888 წელს დაარსდა და დიმიტრი ბაქრაძის „მითითებათა საფუძველზე ჩამოყალიბებული მუზეუმი ფაქტიურად მასვე ჩაბარდა სახელმძღვანელოდ“ (მ. დუმბაძე). თბილისიდან ისინი ქუთაისში გაემგზავრნენ. ეს მგზავრობა თითქმის მთელ აგვისტოს გრძელდებოდა. გამოიკვლიეს უძვირფასესი სალარონი დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტრისა, მათ შორის გელათისა, მოწამეთისა, ნიკორწმინდისა, ხონისა, მარტვილისა, ხობისა, ცაიშისა, კოცხერისა, ჯუმათისა, შემოქმედისა, ლიხაურისა, კაცხისა, მღვიმისა, სავანისა, ჯრუჭისა და უბისისა. არის დოკუმენტები, რომლებიც მათი მგზავრობის ზუსტად აღდგენის საშუალებას იძლევა. მგზავრობდნენ რკინიგზითა და ეტლით. ქართული პრესაც წერდა ამ მგზავრობის შესახებ. „ივერიის“ ცნობით, ტყიბულიდან ნაქერალის გზით 8 აგვისტოს ნიკორწმინდის 900 წლის ეკლესიის „სანახავად იყო პატივცემული ისტორიკოსი დ. ზ. ბაქრაძე და გამოჩენილი რუსეთის პროფესორი ბ-ნი კონდაკოვი“.

ისინი ცხოველი ინტერესით, მოუღლელად მუშაობენ. 1889 წ. 15 აგვისტოს დიმიტრი ბაქრაძე სწერდა მეუღლეს: „მგზავრობა ჩვენი მიმდინარეობს დაბრკოლებების გარეშე. ვიყავით მოწამეთაში, გელათში, ნიკორწმინდაში, მარტვილში, ხონში. ღამე გავათიეთ ახალ სენაკში და დღეს ფაეტონით მივდივართ ხობში, ხობიდან ცაიშში, ხოლო იქედან ზუგდიდში“ (ექვთ. თაყაიშვილის მოგონებით ხობის გზაზე მდინარეში ეტლი გადაბრუნებიათ და დ. ბაქრაძე გაციებულა. მისი აზრით, შემდგომ მისი ნაადრევი გარდაცვალება 1890 წლის თებერვალში ამ გაციებით იყო გამოწვეული).

ნ. პ. კონდაკოვსა და დ. ზ. ბაქრაძეს არც ამ შემთხვევაში, არც შემდეგ არ შეუწყვეტიათ ინტენსიური კვლევა-ძიება. 1889 წლის 21 აგვისტოს ქუთაისიდან დ. ბაქრაძე სწერდა მეუღლეს: „იმდენი მოცალეობა არ მქონდა, რომ წიგნი მომეწერა საიდამე. ან მგზავრობას



უნდებოდით ან წერასა. თითქმის არსად დაგვისვენია. ჩვენ მოვიარეთ სამეგრელო, რაჭა და გურია“.

ნახულმა და ახლადგამოვლენილმა საგანძურმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გაკვირვებულია თვითონ დიმიტრი ბაქრაძე — ქართული განძეულის შესანიშნავი მცოდნე. დიმიტრი ბაქრაძე „შეთავსებით“ ასრულებდა თავის, როგორც საეკლესიო მუზეუმების ხელმძღვანელის მოვალეობას. მივლინებაში მან ბევრი ძვირფასი ნივთი შესძინა საეკლესიო მუზეუმს.

ილიას „ივერია“ 1889 წლის 14 სექტემბერს წერდა: „ამ ზაფხულს პროფ. კონდაკოვმა და ბატონმა დ. ზ. ბაქრაძემ დაათვალიერეს სხვადასხვა ძველი საეკლესიო ნაშთი იმერეთში, გურიაში, სამეგრელოსა და რაჭაში. მოგზაურობის დროს ბატონებს კონდაკოვსა და ბაქრაძეს უნახავთ მრავალი შესანიშნავი საეკლესიო ნივთი და სამკაული და მათ შორის ორი ძველისძველი სახარება, რომლებიც ბევრად სჯობნიან თურმე ხელობით და მხატვრობით გამოჩენილსა და სახელგანთქმულ სახარებას გელათისას. აგრეთვე უპოვნიათ რამდენიმე შესანიშნავი ჯვარი. ბ-ნთ მოგზაურთ ის აზრი შეუდგენიათ, რომ იმერეთში, გურიასა და სამეგრელოსა და რაჭაში, თუმცა დიდი ძალი ნივთი სამუდამოდ დაკარგულა, მაინც მრავალი შესანიშნავი და მდიდარი სამეცნიერო მასალა იპოვება, და რომ ეს მხარე დღემდე თითქმის სრულიად უცნობი ყოფილა.

ბ-ნთ კონდაკოვისა და ბაქრაძის მოგზაურობის შესახებ ჩვენ უფრო ვრცელს შენიშვნას დავბეჭდავთ“.

პეტერბურგში დაბრუნებული ნ. პ. კონდაკოვი კვლავ ენერგიულ კონტაქტს აგრძელებს დ. ზ. ბაქრაძესთან, რათა დაუგვიანებლივ მოხერხდეს „აღწერის“ გამოქვეყნება.

დ. ზ. ბაქრაძის პირად არქივში ორი წერილია ნ. პ. კონდაკოვისა, რომლებიც ჯერ არავის გამოუქვეყნებია. პირველი 1889 წელს 12 სექტემბრისაა, სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ: „დღეს გამოგიგზავნეთ თბილისში ჩემი წიგნები და რამდენიმე ეგზემპლარი ნაშრომისა საქართველოს არქიტექტურის შესახებ. გთხოვთ, გეთაყვა, დაურიგოთ ისინი ჩემი მადლობით იმათ, ვისაც თქვენ საჭიროდ ჩათვლით. 24 სექტემბერს იქნება არქეოლოგიური საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების სხდომა, მე მოვახსენებ კავკასიის შესახებ. იქნებ მომისწროთ იმ დროისათვის თქვენი ნაწერები, ანდა ახალი ნაწერების ნაწილი. ანგარიში გამოქვეყნდა „არქეოლოგიური კომისიის ანგარიშებში“. ნოემბერში, როცა დაბრუნდება ბობრინსკი, გადაწყდება კავკასიაში კომისიის წევრ-კორესპონდენტების საკითხი... — კომისიას სურვილი აქვს შეგხვდეთ პეტერბურგში“.

25 ოქტომბერს დაწერილ წერილში ვკითხულობთ: „დიდად პატივცემულო დიმიტრი ზაქარიას ძევ! ყველა ოთხი პაკეტი წარწერითა თქვენი ახსნა-განმარტებისა მივიღე, ზუსტად დღეს მივიღე მეხუთე, ხობის წარწერებით. ძალიან მიხარია, რომ სწრაფად მუშაობთ, მით უფრო, რომ არა უგვიანეს ორი თვისა უნდა დავბეჭდოთ ანგარიში.

არ გწერდით იმიტომ, რომ ველოდი კავკასიის შესახებ საქმეთა მსვლელობას. მხოლოდ დღეს გაიმართა ჩემი აუდიენცია გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან. მე წარვუდგინე მას მოხსენება, მან დაწერა გადაწყვეტილების პროექტი და იქვე გაუგზავნა ხელმწიფეს. რა იქნება, დაუყოვნებლივ გაცნობებთ. მოხსენება თქვენთვის არსებითად სავსებით ცნობილია და ჩემი წინადადებანი არ გაზრდილა იოტისოდენადაც ჩვენს შორის შეთანხმებულისაგან განსხვავებით სხვადასხვა საქმეთა გამო. მე ვერ მოვასწარი გამომეგზავნა ჩემი ნიმუშები, როცა მივიღე თქვენგან ხობი. თუ შეიძლება, გეთაყვა, ჩემი ნიმუშების გარეშე გამოგზავნეთ ყველა დანარჩენი, რაც თქვენ გაქვთ, მე ვფიქრობ, ისინი მეტად შეიძლება გამოგვადგეს. მე გამოგიგზავნით კორექტურას და თქვენ უკეთ შეადარებთ ჩემს რეესტრს თქვენს ნაწერებს.

აღწერას, სხვათა შორის, დაერთვება ილუსტრაციები...

შემდეგ, გთხოვთ რა კაცხის, ჯრუჭის და სხვა სახელწოდების გამოგზავნას, ძალიან გთხოვთ გამომიგზავნოთ (იყიდოთ ჩემს ხარჯზე, თუნდაც სამმაგ ფასად) მარტვილის ჯვრის ფოტოსურათი, ღვთისმშობლის ხატი შარავანდით: მეტისმეტად მჭირდება.

მოხსენებას საზოგადოებაში არ წავიკითხავ, ვიდრე თქვენგან ყველაფერს არ მივიღებ — მე მინდა ყველაზე მეტად მოვახსენო წარწერების შესახებ“.

მართლაც, ეს მოხსენება ნ. პ. კონდაკოვს 1889 წლის 28 დეკემბერს წაუკითხავს.

II.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებული ნიკო მარი დასწრებია პროფ. ნ. პ. კონდაკოვის მოხსენებას საქართველოში მისი მეცნიერული ექსპედიციის შედეგების შესახებ და საჭიროდ ჩაუთვლია ქართველი მკითხველი თითქმის სტენოგრაფიულად გასცნობოდა ამ მოხსენების შინაარსს. ნიკო მარის კორესპონდენცია დაიბეჭდა „ივერიის“ 1890 წლის 12 იანვრის ნომერში. აი უცვლელად ეს წერილი: „დღეს, 28 დეკემბერს იყო პეტერბურგის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების საერთო კრება, რომელმაც სხვათა შორის მოისმინა ფრიად საყურადღებო მოხსენება შესახებ საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისა... იმავე კრებაზე ბიზანტიის ხელოვნების მცოდნემ პროფ. ნ. კონდაკოვმა მოკლედ უამბო კრებას თავის სამეცნიერო მოგზაურობის ამბავი საქართველოში. ვისაც სურს შეიტყოს ყოველი წვლილი ჩემი მოგზაურობისა და იქონიოს სრული წარმოდგენა ჩემგან დათვალიერებულ საარქეოლოგიო საუნჯისა, მიჰმართოს ჩემ მიერ შედგენილს წიგნს შესახებ ჩემი მოგზაურობისა საქართველოშიო. ეს წიგნი იბეჭდება და მალე გამოვა. მოგზაურობის დროს აზრად მქონდა საქართველოს ძველი ხელოვნების ნაშთების შესწავლა, იმ ნაშთებისა, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ ამ ბოლო დროს და რომელთა შესახებ ინტერესი მეცნიერთა შორის თანდათან მატულობსო. მსურდა ნამდვილად გამეგო რაოდენობა ამ ნაშთთა და ისიც, თუ რაოდენი მნიშვნელობა აქვს ან ნაშთებს „საკაცობრიო ხელოვნების“ ისტორიაში.

კავკასიაში ადრეც ვყოფილვარ, მაგ. 1873 წ., ხოლო ჩემს უკანასკნელ მოგზაურობას, სამეცნიერო აზრის გარდა, სხვა აზრიც ჰქონდა — სახელდობრ პრაქტიკული აზრი. მსურდა სხვადასხვა მონასტრის ძველ ნაშთთა და ნივთთა სიაც შემედგინა, რადგან ამგვარ სიას დიდი მნიშვნელობა აქვს ხსენებულ ნაშთთა და ნივთთა დაცვისათვის.

ეკლესიების დათვალიერების დროს დიდი შემწეობა აღმომიჩინა და დიდად შემიმსუბუქა საქმე თავის ცოდნით, მაღალი გრძნობით აღსავსე მამულიშვილმა, კეთილ-სვინდისიერმა სწავლულმა და ცნობილმა სპეციალისტმა დ. ზ. ბაქრაძემ, წარწერების წაკითხვაში სრულებით იმაზე ვიყავი დამოკიდებული — მინდობილი. წარწერების რიცხვი ცოტა არ ყოფილა და, ვიმეორებ, ამ მხრით დიდად დამავალა დ. ზ. ბაქრაძემ, ამაგი ჩემს წიგნს იმან დასდო. საქართველოს ძველს ნაშთებს, როგორც აღმოჩნდა, აქვთ მნიშვნელობა არა მარტო სპეციალისტებისა და მეცნიერთა რომელისამე მცირე წრისათვის, არამედ მსოფლიო ხელოვნების ისტორიისათვისაც, ნივთების სიმრავლე განსაკუთრებით მიყრუებულ და მივარდნილ ადგილებში აღმოჩნდა, როცა კახეთსა და ქართლს არბევდნენ მტრები, სიმდიდრე იმ მოუვალ კუთხეებში გროვდებოდა ალბათ. მე წრეულს მოვიარე ასეთი კუთხეები საქართველოსი: იმერეთი, სამეგრელო და გურია. სულ დავათვალიერე 26 მონასტერი და მოვახდინე მოკლე აღწერა უძვირფასესი ნივთებისა, რომლებსაც დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. ამას გარდა კიდევ ბევრი ნივთი დარჩა აუწერელი. ამ ნივთებსაც აგრეთვე აქვთ თავისებური მნიშვნელობა, ხოლო ისინი ახალი დროისანი არიან მე-17 საუკუნის შემდგომისანი.

განთქმულსა და გამოჩენილ გელათის მონასტერში თუმცა წინადაც ბევრს უნახავს და ყურადღებით დაუთვალიერებია იმისი საუნჯენი, მაინც წრეულს აღმოჩნდა არა ერთი ჯერ შეუმჩნეველი ძვირფასი ნივთი. სხვათა შორის ერთი ნივთი (მე-12 საუკ.) ჩუქურთმით შემკული თუმცა ბიზანტიური ყაიდისა არის, მაგრამ თავისებური ქართული ხასიათი აქვს. ასეთი ნივთი სხვაგანაც ვნახე საქართველოში და იმათმა შედარებამ აღმაჩინა, რომ ბევრი ნივთი, ადრე ბიზანტიის ხელოვნების ნიმუშად ცნობილი, ქართული ხელოვნების ნიმუშად უნდა ჩავთვალოთ.

ქართველები თავისებურად ყოფილან დახელოვნებული მინანქრით ფერთა-შემკობაში, წინათ მესწავლილ-გაცნობილი მქონდა ბიზანტიური და შემდეგ რუსული მინანქრიანი ნამუშევარი, ახლა ვნახე ქართული მინანქარიც, რომელიც დამოუკიდებელ, თავისებურ ხელოვნებად უნდა ვიცნოთ.

ქართველ მხატვართ ნახატის სისწორე და სიჭეშმარიტე თუმცა ცოტად უძნელდებათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი საღებავნი და ფერადნი შეუდარებლად უკეთესია და გამძლენი სხვებისაზე. გელათშივეა შესანიშნავი სახარება მე-11 საუკუნისა გიორგი მთაწმინდელის ხელთნაწერის მინაწერებით, სურათებით და სხვადასხვა პალეოგრაფიული მორთულობით. ასეთივე სახარება არის ჯრუჭის მონასტერში, რომელიც პირველზე უკეთ შენახულია. ერთი სხვა შესამჩნევი სახარებაც მარტვილში აღმოჩნდა. ეს სახარება ეტრატზეა დაწერილი რვამდე საისტორიო მინაწერით და საუკეთესო მინიატურებით. ეს მინიატურა (სულ 35) ზემოხსენებულ სახარების მინიატურებთან შედარებით უფრო უმდიდრესი არიან, თუმცაღა დახასიათებულები, თავისებურად და სუფთად ნაკეთებია. განსაცვიფრებელ-გასაკვირველია ამ სახარებაში ჩართული 500-ზე მეტი მშვენიერად შეკაზმული სათაური ასოები (ინიციალები) ხასიათოვანნი ნიმუში მე-13 საუკუნის ხელოვნებისა. იგი ხელნაწერი, როგორც ამტკიცებს იმათ ზედ-წარწერა ათას მესე წლისაა.

მარტვილშივე არის ოთხი წმინდა ნივთი ცხოველ ჯვარის ნაწილით და მათ შორისავეა სამიტროპოლიტო ჯვარი, ძვირფასი სპეკალებითა და რელიეფებით გამშვენებული.

ამ რელიეფთა მსგავსი, გარწმუნებთ, ბატონებო, არც ერთს ხელოვნებაში არც ბიზანტიურ და არც სხვაგან სადმე არ მოიპოვება, ისეთის დიდი ღირსებისასა. ამ რელიეფთა შორის ერთ გოჯისოდენა პატარა სურათს, რომელზედაც ჰხატია ქრისტე წელ-ზევითა ტანით, მეტად ცხოველი გამოხატულება (ექსპრესია) აქვს. ეს წმინდა ნივთი ბიზანტურ-მაკედონიური ხანისაა, ის, მე-9-10 საუკუნისაა. ყოველი სურათი შეკაზმულია მინანქრით, რომელიც სურათის ფონს შეადგენს. იქვე მარტვილში ინახება საინტერესო ხატი ორის მინანქრით. ხობი მდიდარია ხელნაწერებით და სხვ. და სხვ.

გურიაში ცნობილია ჯუმათისა და შემოქმედის მონასტრებიც. თუმცა 1873 წელს დ. ზ. ბაქრაძემ დაათვალიერა და აღწერა იგინი, მაგრამ მაინც აუწერელი დარჩა ზოგიერთი ნივთი.

შემოქმედის მონასტერის ნივთთაგან ათამდე ხელახლა ავწერეთ და შევავსეთ ჩვენი სია.

ხოლო დასასრულ უნდა მოგახსენოთ ერთი სამწუხარო ამბავი, რომელიც ნათელს ჰფენს თვით საქართველოს ძველ ნაშთთა სიის შედგენის მნიშვნელობას.

1873 წელს დ. ზ. ბაქრაძის მიერ აღწერილ ნივთთაგან წრეულს ოცი აღარ აღმოჩნდა. სხვათა შორის 1873 წელს ჯუმათში ორი ძვირფასი ხატი იყო ბიზანტიურ-ქართული ხელოვნებისა, ამათგან: 1 ანგელოზ მიქაელისა და 2 მთავარანგელოზს გაბრიელის.

ეს ხატნი, როგორც ჩანს მათგან გადმოღებულ ფოტოგრაფიიდან, ხელოვნების მხრივ მე-11 საუკუნეს ეკუთვნიან და თვით დ. ბაქრაძე ამ ხატებს ამავე საუკუნეს მიაწერს: ორივე ხატების წარწერა მოიხსენიებს იმ გურიელსა და ერისთავს, რომელნიც მე-11 საუკუნის საქართველოს მეფის კარისკაცად იყვნენ. დღეს ეს ორივე ხატი დაკარგულია.

მეცნიერთა საზოგადოება ფრიად გაკვირდა ამ სიტყვის მოსმენის გამო.

ერთმა ტფილელმაო, განაგრძო ბატონმა კონდაკოვმა, რომელიც მხატვრის ხელობას ჩემულობს, თურმე ნებართვა მიიღო, ვისგანაც ჯერ არს, განეხორციელებინა ხატების შეკაზმულობა და მოეწყო ახალიც ძველის ხატების ოქროთი და სპეკალებით (იქნება ეკონომიის გულისათვის მოიქცნენ ასე?). ასეთი საქციელი ამ ძალად მხატვრისა გამომჟღავნდა არა კავკასიაში, არამედ აქ, პეტერბურგში, სადაც ძვირფასი ნივთის ნამტვრევი ერთ მცოდნეს ჩაუვარდა ხელში და კვალი იკვლია. აღმოჩნდა, რომ ამ სახის 25 ხატი, ძვირფასნი ნაშთი ხელოვნებისანი, ან გაუძარცვიათ ან წაუღიათ მხოლოდ ერთ მონასტრიდამ, სადაც 1873 წლამდე ინახებოდა. დაკარგულია სხვა კიდევ ბევრი რამ...

წარმოიდგინეთ ახლა, თუ ერთს მონასტერში ამდენი ნივთი დაკარგულა, რა ძვირფასს სიმდიდრეს შესაძლოა მიაკლდეს მეცნიერება, როდესაც საქართველოს ყველა მონასტერი ამგვარივე ყოფაშია!

საზოგადოებამ უნდა ბეჯითად იზრუნოს ამ საქმისათვის. დაასკვნა მეცნიერმა პროფ. კონდაკოვმა“.

შესაძლოა, ეს შეხედულება გახდა პირობა ნიკოდიმე კონდაკოვისა და ნიკო მარის დაახლოებისა. ათი წლის თავზე ამ შეხვედრიდან ნ. კონდაკოვი ხელმძღვანელობს სამეცნიერო ექსპედიციას ათონის მონასტერში და თან წაიყვანა ნიკო მარი ქართული ხელნაწერების გამოსაკვლევად, რაც ნიკო მარის მეცნიერული ნატვრის განხორციელება იყო.

ნ. პ. კონდაკოვი შეპირებისამებრ თბილისში უგზავნის „ანგარიშს“ კორექტურას, მაგრამ იგი ადრესატამდე არ მისულა. 1890 წლის 10 თებერვალს დ. ზ. ბაქრაძე მოულოდნელად გარდაიცვალა. კორექტურა წაუკითხავად უკან დაბრუნდა. ნ. პ. კონდაკოვისა და დ. ზ. ბაქრაძის ერთობლივმა მივლინებამ დიდად დააახლოვა ეს ორი მეცნიერი. ბევრ საკეთეს გვპირდებოდა ეს თანამშრომლობა ქართული კულტურის შესწავლისათვის. ძვირფასი თანაავტორის უეცარი გარდაცვალებით გამოწვეული წუხილი მან გამოხატა დ. ზ. ბაქრაძის ქვრივისადმი გამოგზავნილ სამძიმრის დეპეშაში.

დ. ზ. ბაქრაძესთან ერთად შესრულებული გამოკვლევა ნ. პ. კონდაკოვმა 1890 წელსვე დაბეჭდა სახელწოდებით „Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная по высочайшему повелению“. ტექსტში 82 ილუსტრაციაა ქართული ოქრომჭედლობის ხელოვნების ნიმუშებისა.

აღნიშვნას წიგნის ტიტულზე, რომ აღწერა მეფის „უზენაესი ბრძანებით მოხდა, ხშირად თანამედროვე ავტორები გამოტოვებენ ხოლმე. ეს გაუმართლებელია. ამასთან კარგად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თავის დროზე ამ აღნიშვნას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ამ წიგნს ოფიციალური აქტის ძალას აძლევდა, რომელსაც ახალი ვერავითარი სინოდალურ კანტორის წინდაუხედავი გადაწყვეტილება ვეღარ შეცვლიდა. ეს წიგნი მომავლისათვის გვაფხიზლებდა, რომ აღარ განმეორებულიყო ის საბედისწერო შეცდომა, რომელსაც განსაკუთრებული სინორჩისა და ხიკასკასის ქართული მინანქრის საგრძნობი ნაწილის საქართველოდან გაზიდვა მოჰყვა. „აღწერა“ თავის პირდაპირ მოვალეობასაც ასრულებდა. იგი იძლევა ცნობებს ცალკე საგნებზე და აღნიშნავს მათ განსაკუთრებულ მხატვრულ თვისებებს. სამწუხაროა, რომ წიგნი დღემდე არ არის ქართულად თარგმნილი. სამწუხაროა, ვინაიდან მისი მკითხველი პირველი გვერდიდანვე რწმუნდება, რომ აქ უბრალო რეგისტრაცია კი არა გვაქვს ქართული კულტურის ამ ძეგლთა აღტაცებული დამფასებლისა და დარაჯის მხრივ. ნ. პ. კონდაკოვი მკვეთრად და კონტრასტულად წარმოაჩენს ქართულ საგანძურთა ადგილს შესაბამის მსოფლიო სიძველეთა შორის.

გაკვირვებული მკითხველი ხედავს, რომ ორ გუბერნიად ქცეულ საქართველოს პროვინციებში ისეთი სიმდიდრეა, რომელსაც ვერც ერთი ევროპული მუზეუმი ვერ დაიკვეხნიდა, თუმცა იქვე გულმდუღარებით წერდა ნ. პ. კონდაკოვი იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მათ ახლაც ემუქრებოდა.

აი ერთი მაგალითი იმისა, თუ რა მგზნებარებით და სიამაყით აღწერდა იგი გელათის საგანძურს: „რაოდენ დიდი იყო სიუხვე ქრისტიანულ საქართველოში მინანქრიანი ნაწარმისა, შეიძლება ვიმსჯელოთ გელათის სალაროების ერთი მაგალითით, რომელმაც შეინახა იმდენი ძვირფასი ნაწარმი ბიზანტიისა, რომლებიც მცირე ეგზემპლარებით არსებობს ევროპის პირველ მუზეუმებში და მათ ძველ სალაროებში.

ერთადერთ მეტოქეს საქართველოსი წარმოადგენს საუნჯენი სან-მარკოს ეკლესიისა ვენეციაში, უფრო ბედნიერი უკვე იმითაც, რომ მისი ძვირფასეულობანი, რომლებიც აღმოსავლეთშია შესყიდული, უფრო კი მიტაცებით მოპოვებული, გულმოდგინედაა დაცული, მაშინ როცა საქართველოს სიძველენი ნაწილობრივ ან ფუჭდება ნესტისა და სიცივისაგან სარდაფებში, ანდა სხვენის სათავსოებში, რომლებსაც სალაროები ეწოდება, ანდა კიდევ რომელთაც იტაცებენ ძველი ხატებისა და ჯვრების განახლების საბაბით. ყველა ეს პირობა ერთად არსებობს და მოქმედებს უფრო დამანგრეველად, ვიდრე ადრინდელი შემთხვევები ირანელებისა და თურქებისა, და ანადგურებენ ძვირფას ძეგლებს თითქმის ყოველთვის დაუთარიღებელთ, და ისეთებს, რომლებიც ასრულებენ ერთადერთი დოკუმენტის როლს“. ნ. პ. კონდაკოვი აღნიშნავდა, რომ გარდა უბრალო ინვენტარისა არასდროს არ აღწერილა ეს ნივთები. იგი გულისტკივილით წერს და ადარებს 1650 წელს რუსეთის ელჩის ნ. ტოლოჩანოვის მიერ აღწერილ გელათის სიმდიდრეს და აღნიშნავს, რომ მეშვიდედი თუა იმ აღწერისაგან გადარჩენილი გელათის საგანძურში; როგორც ჩანს, გადარჩა ის, რაც ყველაზე მეტი რაოდენობით იყოო. აღწერა იმასაც გვიჩვენებს, რა იყო ადრე აღწერილი და რა აღარ დახვდათ ახლა მათ.

ამგვარად ნ. პ. კონდაკოვმა საგანგებო განწყობა შექმნა ქართული მინანქრების გამოვლენა-დაცვისათვის და ამით უიშვიათესი ძეგლები გადაარჩინა დაღუპვას.

„აღწერის“ გამოსვლით ნ. პ. კონდაკოვს სრულიადაც არ ჩაუთვლია, რომ მისი მეცნიერული ცნობისმოყვარეობა ქართული კულტურის ძეგლების მიმართ დაკმაყოფილებულია. პირიქით, კვლავაც გულმოდგინედ და ხანგრძლივად სწავლობს ნ. პ. კონდაკოვი ქართული კულტურის ძეგლებს და მიუჩენს მათ კუთვნილ ადგილს მსოფლიო ხელოვნების საგანძურში.

ხელოვნების ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებამ, რომელმაც ნ. პ. კონდაკოვის გვიანდელ შემოქმედებაში გრანდიოზული ხასიათი მიიღო, „ქართული ელემენტი“ ყოველთვის იკავებს ღირსეულ ადგილს, და ასეა მის თითქმის ყოველ ახალ ნაშრომში. უმაღლეს მეცნიერულ კომპეტენტურობასთან ერთად გულწრფელი სიყვარული და აღტაცებაა ქართული ხელოვნების ძეგლებისადმი. 1891 წელს გამოსულ „რუსეთის სიძველეების“ მე-4 ტომში ნ. პ. კონდაკოვი აღნიშნავს, რომ ქუთაისის ბაგრატის ტაძარი „ითვლება საქართველოს ყველაზე შესანიშნავ ძეგლად XI-XII საუკუნეებისა. ეს ტაძარი აგებულია ერთდროულად სოფიის ტაძრისა კიევში, მაგრამ სილამაზითა და სიდიადით იგი ბევრად აჭარბებს უკანასკნელს“.

ხინის მონასტრის დათვალიერების დროს ნ. პ. კონდაკოვი საჭიროდ თვლის აღნიშნოს, რომ იგი თავისი ადგილმდებარეობით არ ტოვებს განსაკუთრებულ ძლიერ შთაბეჭდილებას, როგორც საქართველოს ან მცირე აზიის ძეგლებს.

1914-1915 წლებში ნ. პ. კონდაკოვი აქვეყნებს ფუნდამენტურ გამოკვლევას ღვთისმშობლის იკონოგრაფიის შესახებ. მასში ღირსეულ ადგილს იკავებს ქართული ხელოვნების ძეგლები, მათ შორის ისეთი მონასტრებიდან, რომლებიც მას არ დაუთვალიერებია. აქ იგი სხვადასხვა წყაროებს მიუთითებს, განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ დიდებული ღვთისმშობლის ხატებია შორეულ და ძნელად მისაწვდომ ზემო სვანეთში, რომლებიც ცნობილი გახდა მეცნიერებისათვის მათი ფოტოსურათებით, განსაკუთრებით კი დ. ი. ერმაკოვის ფოტოკოლექციებიდან. სამწუხარო ის იყო, რომ ბევრი ძეგლის ფოტოსურათიღა დაგვრჩა, მაგრამ კიდევ უფრო ტრაგიკული ის არის, რომ ბევრისა ფოტოსურათიც კი არა გვაქვს.

III.

1925 წელს პ. ნ. კონდაკოვის გარდაცვალებით გამოწვეული ქართველთა წუხილი კარგად გამოხატა ქართული ხელოვნების ძეგლების ყველაზე დიდმა მკვლევარმა და დამფასებელმა გ. ნ. ჩუბინაშვილმა უნივერსიტეტის „მოამბეში“ (1926 № 6) დაბეჭდილ სტატიაში „ნიკოდიმე კონდაკოვი (1844-1925): მისი მეცნიერული მოღვაწეობის მიმოხილვა“.

ეს მეცნიერული ესე შესანიშნავად წარმოგვიდგენს ნ. კონდაკოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (სასურველია იგი ცალკე წიგნადაც დაიბეჭდოს). მის დიდ მოღვაწეობასთან ერთად, რომელსაც შედეგად ბიზანტიის ხელოვნების მეცნიერული ისტორიის დაფუძნება მოჰყვა, ნაჩვენებია მისი ფუძემდებლური გამოკვლევების როლი ქართული ხელოვნების ისტორიის თეორიული საფუძვლების დამუშავებაში, გ. ჩუბინაშვილის სიტყვით, ნ. პ. კონდაკოვი შემდგომაც სხვადასხვა შრომებში წინ სწევდა ქართული ხელოვნების ევოლუციის საერთო გაგებას.

როგორ უნდა შეფასდეს დღეს ნ. პ. კონდაკოვის მეცნიერული წვლილი ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიაში, ამაზე დამაჯერებელ პასუხს იძლევა ქართული მეცნიერული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი გ. ნ. ჩუბინაშვილი. ახასიათებს რა 1876 წელს მოსკოვში გამოქვეყნებულ მის „საქართველოს ძველ ხუროთმოძღვრებას“, იგი წერს: „ავტორის ეს ადრინდელი გამოკვლევა შეიცავს, რასაკვირველია, არა ერთ შემცდარ აზრს (მაგალითად, ძეგლთა ქრონოლოგიაში ორნამენტალურ მორთულობათა განვითარების ეტაპების თანდათანობაში, ფრესკული მხატვრობით დაბალი თვისებისა და სხვა), მაგრამ ესეთია ბედი ყოველი შრომისა, ნამეტნავად ისეთის, რომელსაც აქვს ისეთი საფუძვლედების, ქვაკუთხედის მნიშვნელობა, როგორც აქვს ამ წიგნს“. თვითონ ნ. პ. კონდაკოვს უთქვამს გ. ჩუბინაშვილისათვის, რომ ამ ჩემს შრომას ბევრ რამეში აღარ ვეთანხმებიო. მიუხედავად ამისა, გ. ჩუბინაშვილის სიტყვით, ყოველივე ეს არ გვაძლევს უფლებას დავამციროთ ნ. პ. კონდაკოვის ნაშრომის ისტორიული მნიშვნელობა, ვინაიდან ეს მენიშვნები შეეხება „სხვადასხვა მეორე ხარისხოვან ანუ დეტალურ მხარეს და აგრეთვე იმ შეხედულებას, რომ ქართული ხელოვნება შეადგენს საერთო ქრისტიანული ხელოვნების ნაწილს, ხოლო ფაქტების გამოკვლევის ძირითადმა ჩონჩხმა არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა დღემდე, ხოლო მისი მეთოდი წარმოადგენს პირდაპირ მაგალითს ახალგაზრდა მკვლევართათვის“.

როგორც გიორგი ჩუბინაშვილი წერს, „ნიკოდიმე კონდაკოვი ის კაცი იყო, რომელმაც პირველად ღრმა მეცნიერის თვალით გამოიკვლია საქართველოს ხელოვნება და რომელსაც ამრიგად დაუვიწყარი ღვაწლი მიუძღვის მისი შესწავლის საქმეში“.

და მეტიც, არც ამით ამოიწურება ნ. კონდაკოვის ღვაწლი ქართული ხელოვნების წინაშე, როცა ვეხებით ქართულ ოქრომჭედლობას და მინანქარს. „ამ სიძველეთა წინაშე კონკადოვს მიუძღვის დიდი დამსახურება: მან არა მარტო გამოიკვლია, არამედ შეინახა და დაიცვა კიდეც ესენი“ (გ. ჩუბინაშვილი).

IV.

პარიზში ექვთიმე თაყაიშვილი დიდად დაამწუხრა 1925 წელს ქართული კულტურის ძეგლების ძომაგის აკად. ნ. პ. კონდაკოვის გარდაცვალებამ. პირველად ვაქვეყნებთ მის მიერ იმ დროს წარმოთქმული სიტყვის ჩანაწერს:

„ბატონებო,

მანამ შევუდგებოდეთ ლექციის კითხვას, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ახლად გარდაცვალებულ აკადემიკოს ნიკოდიმე პავლეს ძე კონდაკოვის შესახებ.

ნამდვილი მეცნიერი და მეცნიერების მსახური ეკუთვნის არა მარტო ერთ ხალხს, ერთ ერს, არამედ მთელ კაცობრიობას. ასეთი იყო უეჭველად ნ. კონდაკოვი, რომელსაც პირველი ადგილი ეჭირა ხელოვნების პროფესორთა შორის რუსეთში და დიდად ცნობილი იყო და დიდად აფასებდნენ მთელ ევროპაში. არა მგონია, რომ მენდელეევის გარდა რუსეთის სხვა პროფესორს ისეთი სახელი მოეპოვებინოს ევროპაში, როგორც სამართლიანად დაიმსახურა ნ. კონდაკოვმა. ეს იყო დაუღალავი მშრომელი, დაუღალავი მოგზაური სხვადასხვა ქვეყნებში ხელოვნების ნაშთების შესასწავლად. საქართველო, პალესტინა, სინის მთა, იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი, ათონი, მაკედონია, ბულგარეთი, სერბია, ევროპის ყველა სატახტო ქალაქის მუზეუმებიდან არ დარჩენილა არც ერთი, სადაც ის არ ყოფილიყოს და გულდადებით არ შეესწავლოს სხვადასხვა ძეგლები.

აუარებელი შრომა აქვს მას გამოქვეყნებული ხელოვნების დარგში და მისი შრომანი ხშირად სახელმძღვანელოდ უძევთ მაგიდაზე მოსწავლეთ და მეცნიერებს.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, უფრო გულდასაწყვეტია, რადგანაც ამ მეცნიერმა თავისი მოღვაწეობა ქართულის ხელოვნების (ხუროთმოძღვრების) შესწავლით დაიწყო და დაბეჭდა წიგნი „Древная Архитектура Грузии“, რომელშიაც უარყო დიუბუა დე მონპერეს აზრი, ვითომც ქართული ხუროთმოძღვრება ნაწყვეტი და ნასესხი იყო სომხური ხუროთმოძღვრებიდან.

სერგო ჯორბენაძე.



უცხოეთში

საკდესი იუწყება
14 მარტი

◆ აშშ

შეწყდეს გენოციდის პოლიტიკა!

ვაშინგტონი. კვირას ამერიკის დედაქალაქში გაიმართა ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე პალესტინელი მოსახლეობის აჯანყების მხარდამჭერი მრავალათასიანი დემონსტრაცია.

ლოზუნგებით „შეწყდეს ისრაელის გენოციდის პოლიტიკა“, „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია პალესტინელი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია“, „ბოლო მოეღოს არაბული მიწების 20-წლიან ოკუპაციას“ ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ვაშინგტონის ქუჩებში გამართულ მარშში. გამოსვლებში მონაწილეობდნენ ვაშინგტონის ერბაელთა თემის წარმომადგენლები, რომლებსაც მოჰქონდათ პლაკატები: „სიონიზმი რასიზმია“, „პალესტინელთა სისხლი წყალი როდია“. დემონსტრაცია დამთავრდა მიტინგით ლაფაიეტ-სკვერში თეთრი სახლის წინ, რომელშიც 5 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

მანიფესტაცია დაუკავშირდა ისრაელის პრემიერ-მინისტრის იცხაკ შამირის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც დღეს იწყება. როგორც პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რონალდ რეიგანთან მოლაპარაკების დროს განიხილავენ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების ახალ ამერიკულ გეგმას. ვაშინგტონის წინადადებები ითვალისწინებენ, კერძოდ, საზავო კონფერენციის გამართვას ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე და ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე პალესტინელებისათვის შეზღუდული ავტონომიის მინიჭებას. მაგრამ ამ უაღრესად შეზღუდულ დათმობებსაც კი, რომლებიც არ შეესაბამება პალესტინელი არაბების ეროვნულ მისწრაფებას, მტრულად შეხვდნენ ისრაელი „ქორები“ პრემიერ-მინისტრ შამირის მეთაურობით.

მთავარი შედეგი

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში პოპულარობით უსწრებს ქვეყნის ორივე წამყვანი ბურჟუაზიული პარტიისაგან პრეზიდენტის სავარძლის ყველა დანარჩენ პრეტენდენტს. ასეთია ყოველკვირეულ „ტაიმის“ შეკვეთით კვლევითი ფირმის „იანკელოვიჩ კლენსი შულმანის“ მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის ახალი საერთო-ეროვნული წინასაარჩევნო გამოკითხვის მთავარი შედეგი.

ამ კვლევის შედეგებით, ბუში უსწრებს, დემოკრატთა ლიდერსაც მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორ მაიკლ დუკაკისს. მათ მოიპოვეს შესაბამისად ხმათა 42 და 37 პროცენტი. ამასთან პრეზიდენტის არჩევნებზე რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის პოსტისათვის ბრძოლაში ვიცე-პრეზიდენტის მთავარი მეტოქე სენატორი რობერტ დოული დაახლოებით ამდენითვე ჩამორჩება დუკაკისს.

ანტიამერიკული მანიფესტაციები

ესპანეთში

მადრიდი. კვირას ესპანეთში გაიმართა მშვიდობის მომხრეთა მასობრივი დემონსტრაცია. იგი მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „ნეიტრალიტეტისათვის“, „არ გვსურს — ნატო“, „გაიტანეთ — ბაზები“. დაახლოებით 70 ათასმა კაცმა ჩაიარა მარშით მადრიდიდან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ტორეხონ-დე-არდოსის ბაზამდე, რომელიც ესპანეთის დედაქალაქიდან 13 კილომეტრზე მდებარეობს. ისინი მოითხოვდნენ ესპანეთის გამოსვლას ნატოდან და ესპანეთის ტერიტორიაზე ამერიკის ყველა ბაზის ლიკვიდაციას.

ბაზის ჭიშკრის წინ მოხდა დემონსტრანტების შეტაკება პოლიციასთან, რომელმაც მანიფესტაციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოიყენა პლასტმასის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი. ამის პასუხად პოლიციელებს დაუშინეს ქვები, პეტარდები და შუშხუნები. რამდენიმე კაცი დაიჭრა, დააპატიმრეს ზოგიერთი დემონსტრანტი.

მანიფესტაცია დაუკავშირდა ნატოში ესპანეთის წევრობის შესახებ საერთო ეროვნული რეფერენდუმის მეორე წლისთავს. მაშინ ესპანეთის სოციალისტურმა მუშათა პარტიამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ფილიპე გონსალესის მეთაურობით შეძლო დაერწმუნებინა ესპანელთა უმრავლესობა ხმა მიეცათ ქვეყნის შემდგომი ყოფნისათვის ჩრდილოატლანტიკურ კავშირში, დაპირდა მათ, რომ მნიშვნელოვნად შეამცირებდა ამერიკის სამხედრო ყოფნას. მიმდინარე წლის იანვარში დაახლოებით ერთი წლის მანძილზე გაჭიანურებული მოლაპარაკების შემდეგ, ამერიკელები იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ ტორეხონის ბაზიდან გაეტანათ 72 ფ-16 ტიპის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი. მაგრამ ვაშინგტონმა დაიტოვა უფლება „საგანგებო გარემოებათა“ შემთხვევაში გამოიყენოს ეს ბაზა, რომელსაც აქვს ყველაზე გრძელი ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი დასავლეთ ევროპაში. ესპანეთის მიწაზე ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზები რჩება სარაგოსასა და მორონში, აგრეთვე დიდი სამხედრო-საზღვაო ბაზა როტაში.

საბერძნეთში

◆ 1988 წელი პენტაგონის მიერ თავისი ბაზებისათვის საბერძნეთის ტერიტორიის იჯარით აღების ბოლო წელია. მართალია, ამერიკული სამხედრო ბაზების გაუქმება ეროვნულ ტერიტორიაზე კვლავაც საბერძნეთის მთავრობის მიზანია, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებული იქნება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აქტუალურ პრობლემებთან.

პენტაგონის სამხედრო ბაზებთან იმართება მასობრივი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი მოითხოვენ „სიკვდილის ბაზების“ მოხსნას საბერძნეთის მიწა-წყალზე.

სურათზე: მანიფესტანტები პენტაგონის „ელინიკონის“ სამხედრო ბაზასთან.

სალვადორში

ჰავანა. სალვადორის დედაქალაქში გაიმართა მასობრივი ანტიამერიკული მანიფესტაცია. ასობით სალვადორელი, რომლებიც ერთხმად გაიძახოდნენ „იანკებო, გაეთრიეთ სალვადორიდან!“, შეიკრიბა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წინ ქვეყნის მმართველი ანტიხალხური რეჟიმისათვის ამერიკელთა მხარდაჭერის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მანიფესტაციის მონაწილეებმა მოითხოვეს შეწყდეს ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ ხელისუფალთა მიერ გაჩაღებული სასტიკი რეპრესიები.

მოგზაურობა

საჰაერო ბურთით დედამიწის გარშემო

ბუენოს-აირესი. ორმა ამერიკელმა პილოტმა ჯონ პეტრენმა და როლანდ სმიტმა გადაწყვიტეს ორ კვირაში საჰაერო ბურთით მოაწყონ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა. როგორც ბუენოს-აირესში გამომავალი გაზეთები იუწყებიან, უახლოეს დღეებში ისინი სტარტს აიღებენ არგენტინის ქალაქ მენდოსში. მოგზაურები იფრენენ აღმოსავლეთის მიმართულებით 10 ათას მეტრ სიმაღლეზე. 14 დღის განმავლობაში ჰაერნაოსნებს იმედი აქვთ, რომ მსოფლიოს შემოუფრენენ სამხრეთ განედის 45-ე გრადუსის გაყოლებაზე, რომელზეც ქალაქი მენდოსი მდებარეობს. არგენტინის სამხედრო-საჰაერო ძალები ეკიპაჟს მოამარაგებენ მეტეოცნობებითა და ფრენის უზრუნველყოფისათვის საჭირო სხვა მონაცემებით.

◆ ირან-ერაყი

სარაკეტო დარტყმები

ბაღდადი-ნიქოზია. კვირას ერაყმა ერთი რაკეტით „გამაფრთხილებელი დარტყმა“ მიაყენა თეირანს. ეს აქცია, როგორც განაცხადა სამხედრო წარმომადგენელმა ბაღდადში, განხორციელდა ირანის მხარის მოქმედების პასუხად, რომელიც განაგრძობს ერაყის დასახლებული პუნქტებისათვის საარტილერიო ცეცხლის დაშენას. ირანი, რომელმაც დაადასტურა ერაყელთა რაკეტის აფეთქება თეირანში, იმუქრებოდა საპასუხო მოქმედების განხორციელებით. სარაკეტო დარტყმა თეირანს მიაყენეს ორი დღის შემდეგ, რაც ძალაში შევიდა „ქალაქების ომში“ ცეცხლის ფაქტობრივი შეწყვეტა: გასულ 12 დღეში ორივე მხარემ, ძირითადად ბაღდადსა და თეირანს, დაუშინა „დედამიწა-დედამიწა“ კლასის დაახლოებით ასი რაკეტა.

ბოლო ორი დღე-ღამის მანძილზე გრძელდებოდა სამხედრო მოქმედება ფრონტის ხაზზე. ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე ირანმა კვირას დაიწყო შეტევა „ზაფარ-7“. როგორც ირანის მხარე ამტკიცებს, შეტევის დროს დაპყრობილია დაახლოებით 40 კვადრატული კილომეტრი ერაყის ტერიტორია.

ინგლისის გაზეთი „ობსერვერი“ ამტკიცებს, რომ სპარსეთის ყურეში „შვიდწლიანი ომის მანძილზე ირანი პირველად შეუდგა ქიმიური იარაღის წარმოებას, ალბათ, მისი ერაყის მთავარი ქალაქების წინააღმდეგ გამოსაყენებლად“. ვარაუდობენ, რომ ირანელები ახლოს არიან „ჰაერი-ჰაერი“ კლასის რაკეტების ქიმიური ქობინებით აღჭურვასა და მათი „ქალაქების ომში“ გამოყენებასთან, ნათქვამია სტატიაში.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ჰავანა.** მშრომელთა ეროვნულმა საბჭომ, რომელიც აკოორდინირებს პანამის მთელი რიგი წამყვანი პროფკავშირების საქმიანობას, მკვეთრად დაგმო ლათინური ამერიკის ამ ქვეყნის წინააღმდეგ შეერთებული შტატების ეკონომიკის აგრესიის პოლიტიკა. თათბირზე შეიმუშავეს პროფკავშირთა ერთობლივი მოქმედების გეგმა, რომელიც შეიცავს მთელ რიგ რეკომენდაციებს პანამის მთავრობისადმი. ამ რეკომენდაციების მიზანია ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალი გზის ძიება.

◆ **ბრაზილია.** მწვავე საბინაო კრიზისს განიცდის ბრაზილია. პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა 140 მილიონ კაცს უახლოვდება, 8 მილიონ ოჯახს არა აქვს ბინა.

◆ **პარიზი.** პარიზის კრეტეის გარეუბანში გაიხსნა ქალი რეჟისორების მიერ დადგმული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი. ამ წარმომადგენლობითი ფორუმის ოფიციალურ პროგრამაში შესულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ორმოცდაათზე მეტი ფილმი.

◆ **დელი.** ჩრდილოეთ ინდოეთში წლის ამ დროისათვის უჩვეულოდ გრილი ამინდია. ჰიმაჩალ-პრადეშის, ჯამუსა და ქაშმირის შტატების მაღალი მთის რაიონებში გრძელდება თოვა. უკვე მეორე დღეა, იუწყება იუნის სააგენტო, მათთან გაწყვეტილია ავტოსაგზაო მიმოსვლა.

◆ **ვაშინგტონი.** შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა დაახლოებით 8,4 მილიონი დანაშაული. ეს ნათქვამია კვირას ვაშინგტონში გამოქვეყნებულ შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს წინასწარ მოხსენებაში. 1986 წელთან შედარებით სამართალდარღვევათა რიცხვი 0,9 პროცენტით გაიზარდა. ყველაზე გავრცელებული დანაშაული კვლავინდებურად ქურდობაა. შარშან რეგისტრირებული იყო 18,45 მილიონი შემთხვევა — 1,7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1986 წელს.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

გამოფენაზე „მხატვრის სახლში“

თბილისის „მხატვრის სახლში“ გახსნილი ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფური გამოფენა არაერთ ნიჭიერ შემოქმედთან პირველშეხვედრის სიხარულს ჰპირდება დამთვალიერებლებს.

„მხატვრის სახლის“ დღევანდელი სტუმრები კი კიდევ ერთი საინტერესო მოვლენის მონაწილენი გახდებიან — აქ ერთ-ერთ დარბაზში გაიხსნება რესპუბლიკის არქიტექტორთა ნამუშევრების გამოფენა.

▼ ▼

ამანათი პარიზიდან

პარიზიდან კვლავ მიიღო ამანათი თბილისის მე-18 სამშენებლო საშუალო პროფესიულ ტექნიკურმა სასწავლებელმა. იგი იუნესკოს სასწავლო დაწესებულებათა ასოციაციის წევრია და იქიდან სისტემატურად იღებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის გამოცემებს: „პანორამას“, „კურიერს“, საინფორმაციო ბიულეტენს, პრაქტიკულ სახელმძღვანელოებსა და სხვა მასალებს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე.

როგორ მოხდა მისი არჩევა ასოციაციის წევრად?

— 1985 წლის იანვარში მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სასწავლო-მეთოდიკური საბჭოს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი სასწავლო-პრაქტიკული კონფერენცია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მნიშვნელობაზე მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის პროცესში, — გვიამბობს თბილისის მე-18 სასწავლებლის დირექტორი ნოდარ კუჭავა. — იქ გამოვედი მოხსენებით „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა რესტავრაციაში მონაწილეობა, როგორც პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლის შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ფაქტორი“, დამსწრეთ გავაცანი ჩვენი დიდი გამოცდილება ამ საქმეში (მე-18 სასწავლებლის მოსწავლეებმა აღადგინეს შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი, სამი დარბაზული ტიპის ეკლესია მცხეთის რაიონში, მონაწილეობდნენ ნარიყალას რესტავრაციაში...). კონფერენციას იუნესკოს წარმომადგენელიც ესწრებოდა. მისი რეკომენდაციით ჩვენი ამ საქმიანობით დაინტერესდა იუნესკოს მოსკოვის განყოფილება, და აი, იმავე წლის მიწურულს სასწავლო დაწესებულებათა ასოციაციის წევრად აგვირჩიეს...

მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს ასეთი ცნობა: ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი სსრ კავშირიდან, თბილისის მე-18 სასწავლებლის გარდა, სულ 9 სასწავლო დაწესებულებაა: 5 — რსფსრ-დან (მოსკოვი, ლენინგრადი), 3 — უკრაინიდან, და 1 — ბელორუსიიდან.

▼ ▼

ქართული ფილმების პრემიერა

მოსკოვში, კინემატოგრაფისტთა ცენტრალურ სახლში გაიმართა ქართველი რეჟისორების მ. კობახიძის, ბ. რაჭველიშვილის, გ. ჩირაძის მოკლემეტრაჟიანი ფილმების „მამაკაცების“, „ხაბაზების“, „მუსიკოსების“ პრემიერა.

მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ჯ. ნადარეიშვილმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 67 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის ჟურნალისტთა სახლში გაიხსნა რესპუბლიკის ფოტოჟურნალისტთა და ფოტომოყვარულთა ნამუშევრების გამოფენა. ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ რამდენიმე ნამუშევარი, დღეს კი გთავაზობთ ჯ. ლომაძის („კომუნისტი“) „ბალერინას“.

ხელოვნება

ედგარ ეგაძის სახელობის სტუდია

ხუთი წლის წინათ ედგარ ეგაძემ, მოსკოვის ა. პუშკინის სახელობის დრამატული თეატრის დამდგმელმა რეჟისორმა, საფუძველი ჩაუყარა ახალ წამოწყებას. მან შეკრიბა ახალგაზრდები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ვერ ჩაირიცხნენ მოსკოვის უმაღლეს თეატრალურ სასწავლებლებში, მაგრამ მათ თეატრისა და ხელოვნების უსაზღვრო სიყვარული აერთიანებდათ და დამწყებ მსახიობებს, „მსახიობობის“ გარდა, შრომის, სიკეთის, ახლის შექმნის სიყვარული ასწავლა.

თავად მოძებნა მიგდებული სარდაფი, თავად შეუდგა ძალაყინით და უროთი, ნიჩბითა და წერაქვით სქელი კედლების დანგრევას, სცენის მოწყობას, ასათადგილიანი დარბაზის გაწყობას. რეპეტიციებზე თავგადადებით მუშაობამ, დაუღალავმა სწრაფვამ სილამაზისა და სრულყოფილებისადმი ნაყოფი გამოიღო...

ამ დღეებში რედაქციაში სასიხარულო ცნობა მოვიდა. მოსკოვის თეატრ-სტუდიისათვის მისი დამაარსებლის — ედგარ ეგაძის სახელი უწოდებიათ.

მოსკოვში გაჩნდა აფიშები, რომ ედგარ ეგაძის სახელობის თეატრ-სტუდია მაყურებელს უჩვენებს სპექტაკლს „სიყვარულსა და სიკვდილში არარსებულს“ ე. რაძინსკის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით, დადგმა — ე. ეგაძისა, რეჟისორი — ნ. სურიკოვა.

რამდენიმე წლის შემდეგ ზემოხსენებული სპექტაკლის დადგმა ედგარ ეგაძემ დაიწყო ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში, სადაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მუშაობდა. ნიჭიერი რეჟისორის ერთგვარი „მემორიალ-სპექტაკლის“ დამთავრება მოუწია მის ვაჟს — კინომსახიობთა თეატრის რეჟისორს ოთარ ეგაძეს.

„როცა სპექტაკლს ვუყურებდი, სულ ერთი ფიქრი მიტრიალებდა გონებაში — რატომ აირჩია ე. ეგაძემ ეს პიესა... მე მაინც მგონია რომ ეს სპექტაკლი მან „თავისთვის“ გააკეთა, რათა პირადად განცდილი, გულისშემძვრელი ტკივილები და იმედები, ღალატი და სასოწარკვეთა, გაუგებრობა და უთანაგრძნობა, საბედისწერო წამის სიახლოვე და ამ წამის დავიწყებით დამდგარი სულიერი გადახალისება პირობით სამყაროში წარმოესახა და ამით ერთგვარი ზოგადი ხასიათი მიენიჭებინა პირადული, ღრმად დამარხული კონფლიქტისათვის. იგი ეთხოვებოდა თავის წარსულს ახალი ცხოვრებისათვის, ამიტომაც ეს სპექტაკლი მე მის აღსარებასავით აღვიქვი“, — ამბობს თეატრმცოდნე ნ. გურაბანიძე.

თეატრ-სტუდიის რეჟისორი, ედგარ ეგაძის მეგობარი ო. იოლშინი დიდი გულისტკივილითა და პატივისცემით იხსენებს განსვენებული რეჟისორის შესანიშნავ ადამიანურ თვისებებსა და ღირსებებს. ედგარ ეგაძემ თავის მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მაგალითით ასწავლა ცხოვრება. თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ხანგრძლივი სიცოცხლე არ ეწერა. ამიტომაც ესწრაფვოდა მრავალ საქმეს — წერდა პიესებს, აყალიბებდა სტუდიას, თავის გარშემო იკრებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, ხვეწდა მათს მსოფლმხედველობას, იბრძოდა, მუშაობდა, ყველაფრის მოსწრება სურდა...

მოსკოვის თეატრ-სტუდიის კოლექტივი ახლაც ედგარ ეგაძის ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით მოღვაწეობს. მისი ძირითადი მოთხოვნაა: „მთავარია შევაჩვიოთ მაყურებელი ელოდოს ჩვენი სტუდიის პრემიერებს“. თეატრის რეპერტუარში უკვე 5 სპექტაკლია.

თეატრ-სტუდიის წევრები იტყობინებიან: „ძლიერ გაგვახარებთ, თუ მოსკოვში ჩამოსული თანამემამულენი ედგარ ეგაძის სახელობის თეატრ-სტუდიის კარსაც შემოაღებთ. ჩვენი მისამართია: კოოპერაციული ქუჩა, სახლი 4, კორპუსი 15. ტელეფონი 245-44-84. ჩვენი ხელმძღვანელის პორტრეტთან ყოველთვის ნახავთ ყვავილებს“.

დამეთანხმებით, ძალზე სასიამოვნო და მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ქართველი თეატრალური, და არა მარტო თეატრალური, არამედ მთელი საზოგადოებრიობა უდიდესი მადლიერების გრძნობით არის გამსჭვალული მოსკოველი კოლეგების მიმართ.

ნანა ონიანი.

სპორტი

ფეხბურთი

ორი ტურის შემდეგ

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში გასულ შაბათ-კვირას მეორე ტურის 5 მატჩი გაიმართა. 40 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს დონეცკის „შახტიორისა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრას. დონეცკელ კობოზევის მიერ მე-14 წუთზე გატანილი გოლი მეორე ტაიმში გაქვითა კიეველმა ზავაროვმა — 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ და ხარკოვის „მეტალისტის“ მატჩი. ერევნის „არარატისა“ და ვილნიუსის „ჟალგირისის“ შეხვედრაში ხაჩატრიანის გოლმა გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა — 1:0, ოდესის „ჩერნომორეცმა“ დაამარცხა ალმა-ათის „ქაირათი“ — 1:0, მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ტორპედოს“ მატჩი კი ფრედ (0:0) დამთავრდა.

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „დინამო“ და „ლოკომოტივი“. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:0.

ხვალ ტურის ბოლო მატჩი გაიმართება: „ზენიტი“ — „ნეფთჩი“.

ჭადრაკი

ქალთა პირველობაზე

ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის.

10 ტურის შემდეგ 7,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ოსტატები ქეთევან ქასოშვილი (გორი) და ქეთევან კახიანი (დიდი ლილო). 18 მონაწილიდან ახლა მხოლოდ ეს ორი თამაშობს დაუმარცხებლად. ჩემპიონობის გარდა ქასოშვილი და კახიანი ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალის საგზურებისათვისაც იბრძვიან. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებას საქართველოს ჩემპიონატში I-IV ადგილებზე გასული მოჭადრაკეები მიიღებენ.

6,5 ქულა მოაგროვეს ოსტატმა ქეთევან მელაშვილმა (თბილისი) და ოსტატობის კანდიდატმა ეკატერინე ფახიროვამ (ქუთაისი), 6 ქულა — ოსტატმა თამილა მესხმა (ქუთაისი) და ოსტატობის კანდიდატმა იამზე თვაურმა (თბილისი), 5,5 ქულა — ოსტატებმა ნინო მელაშვილმა (თბილისი) და 15 წლის სოფიკო ტერელაძემ (სამტრედია).

გუშინ შეჯიბრების მონაწილეები ისვენებდნენ. დღეს მორიგი მეთერთმეტე ტურია.

მოკლედ

ჩოგბურთი. მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის ზამთრის ჩემპიონატი ქალთა შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელი ლეილა მესხი და მინსკელი ნატალია ზვერევა. ანგარიშით 6:2, 6:2 გაიმარჯვა ზვერევამ. ქართველ ჩოგბურთელს ვერცხლის მედალი გადაეცა. წყვილთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ზვერევა-სავჩენკოს დუეტი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ანდრია ჩესნოკოვის გამარჯვებით დამთავრდა აშშ-ს ქალაქ ორლანდოში გამართული დიდი საერთაშორისო ტურნირი („გრან პრი“). ფინალში ჩესნოკოვმა დაამარცხა ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი მიროსლავ მიჩირჟი — 7:6, 6:1.

ჭადრაკი. რამდენიმე ათეული დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა შვეიცარიის ქალაქ ლუგანოში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. შეჯიბრება ტრადიციისამებრ შვეიცარიული სისტემით მოეწყო. 9 ტურში ერთდროულად შვიდმა მოჭადრაკემ მოაგროვა 7-7 ქულა. გამარჯვებულთა შორისაა კრასნოიარსკელი დიდოსტატი ლევ ფსახისი.

ამასობაში ამსტერდამში დაიწყო ოთხი უძლიერესი მოჭადრაკის მატჩ-ტურნირი. სამი ტურის შემდეგ 2 ქულით ლიდერობს იუგოსლავი ლიუბომირ ლიუბოევიჩი, ანატოლი კარპოვსა და ინგლისელ ნაიჯელ შორტს 1,5—1,5 ქულა აქვთ, ჰოლანდიელ იან ტიმანს—1.

საჯაროობა, დემოკრატიზმი

გიწვევთ კონკურსზე

მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დარაჯი, სამართლიანი, თავაზიანი, პრინციპული, კაცი, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის შემწე, რა თქმა უნდა, კოხტა და მოხდენილი — ამ თვისებებით უნდა იყოს შემკული საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორი. უკვე მეოთხედ აწყობს კონკურსს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველო, რათა ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლებმა მოსინჯონ თავიანთი შესაძლებლობანი და დადგნენ საქართველოს გზებსა და გზაჯვარედინებზე უსაფრთხო მოძრაობის სამსახურში.

სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურის სათანადო კადრებით დაკომპლექტების მიზნით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველო აცხადებს მორიგ კონკურსს საგზაო-საპატრულო სამსახურის რიგითი ინსპექტორის თანამდებობაზე მოქალაქეთა მისაღებად.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 28 წლის ასაკამდე მოწინავე ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, რომლებმაც მოიხადეს სავალდებულო სამხედრო სამსახური, წარმოადგენენ შესაბამისი შრომითი კოლექტივებისა და პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების რეკომენდაცია-დახასიათებებს, არიან სკკპ წევრები, სკკპ წევრობის კანდიდატები ან ალკკ წევრები, აქვთ საშუალო ან საშუალო-ტექნიკური განათლება, სწავლობენ უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელი სწავლების მექანიზაციის, საგზაო, ავტოსატრანსპორტო სპეციალობაზე, საკმაოდ ფლობენ ქართულ და რუსულ ენებს, აქვთ მძღოლის მოწმობა, კარგად იცნობენ ავტომობილებსა და მექანიზმებს.

კომპეტენტური კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს კანდიდატების პოლიტიკური მომზადებისა და ზოგადი განათლების დონეს, საგზაო მოძრაობის წესების ზედმიწევნით ცოდნას, ფიზიკურ მომზადებას და გარეგნულ იერს (სიმაღლე არანაკლებ 175 სმ).

კონკურსში გამარჯვებულნი დაინიშნებიან საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორთა არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე ავტოინსპექციის შესაბამის ქვეგანაყოფებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ვაკანსია არ არის, ჩაირიცხებიან კადრების რეზერვში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საჭირო საბუთები (განცხადება, ავტობიოგრაფია, დაწესებულებისა და პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციის რეკომენდაცია-დახასიათება, განათლების მოწმობა, შესაბამისი შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის თანხმობა, კადრების აღრიცხვის ფურცელი) უნდა წარმოადგინონ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოინსპექციის სამმართველოში მიმდინარე წლის 6 აპრილამდე მისამართით: 380003 ქ. თბილისი, შაუმიანის მოედანი № 3.

კონკურსი გაიმართება 1988 წლის 8 აპრილს 9 საათზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოში.

შენიშვნა: ზესტაფონის, ლაგოდეხის, სამტრედიის, საჩხერის, ხაშურის რაიონების და ქიათურის ზონის წარმომადგენლები მეორედ კონკურსზე არ დაიშვებიან, რადგან ამ რეგიონებში წინა კონკურსების შედეგად შექმნილია კადრების საკმარისი რეზერვი.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ ყოფილი პროკურორი, პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი

პავლე ეპიფანეს ძე ბერძენიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

ტელევიზია—სამშაბათი, 15 მარტი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „გოტვალდი“. V სერია. 11.40 და 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — ასტრახანის ტელევიზიის პროგრამა. 17.30 — ფილმი — ბავშვებს. „მთის ტბის საიდუმლოება“. 18.40 — ახალი ამბები. 18.45 — მშობლიური კუთხის მელოდიები. გადაცემა მინსკიდან. 19.05 — XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის შესახვედრად. ისტორიის ფურცლები. პარტიული კონფერენციები ქვეყნის ცხოვრებაში. 19.35 — დღეს მსოფლიოში. 19.55 — „გოტვალდი“. V სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.50 — კინო და მაყურებელი. 0.20 — დღეს მსოფლიოში. 0.30 — იუგოსლავიის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის „კოლოს“ გამოსვლა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — გეოგრაფია. VII კლასი. 10.05 და 12.05 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ზოგადი ბიოლოგია. 11.35 და 12.35 — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. IX კლასი. 13.05 — დოკუმენტური ფილმები. 13.50 — ფილმ-კონცერტი (პერმი). 14.20 — ახალი ამბები. 14.25 — განმეორებითი ტელეფილმის დღის სეანსი. „სინდისი“. II სერია. 19.00 — ახალი ამბები. 19.10 — რიტმული ტანვარჯიში. 19.40 — მუსიკალური კიოსკი. 20.10 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა!“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — შეხვედრა ბრიტანეთთან. ტელეხიდი ტალინი — ბელფასტი. 22.00 — „ვრემია“. 22.50 — მხატვრული ფილმი „ჟოლოს ღვინო“. 0.50 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს“. 13.50 — კინონარკვევი „კრასავკა“. 14.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია. 14.30 — დოკუმენტური ტელეფილმი „ქართული კერამიკა“. 15.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.50 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.20 — „თეატრალური ფოსტა“. 17.25 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“ 18.00 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 18.30 — გარდაქმნის წახნაგები. „მეცხოველეობა — უპირველესი საზრუნავი“. 19.05 — „ისტორიის ფურცლები“ პარტიული კონფერენცია ქვეყნის ცხოვრებაში. 19.35 — განცხადებები. 20.00 — მოამბე. 20.40 — ადამიანი და ბუნება. 20.55 — „გმადლობთ, მასწავლებელო!“ 21.15 — „შეხვედრა ბრიტანეთთან“ — ტელეხიდი ტალინი-ბელფასტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“. 22.55 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 23.50 — სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში: თბილისის „დინამო“ — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მეორე პროგრამა. 18.05 — დოკუმენტური ტელეფილმი „ბათირ ზაქიროვი“. 18.45 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია. 19.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანტიკვარები“. 20.00 — მოამბე. 20.40 — მხატვრული ფილმი „გვიანი ალუბლები“.



რედაქციის მისამართი:

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14

ტელეფონები:
ცნობებისათვის — 93-95-54
მშრომელთა წერილების განყოფილება — 99-73-24

საკორესპონდენტო პუნქტები:

სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-24-51; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი—2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი—3-12-09; ტყიბული — 25-82.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434. უე 05245 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14